კვირა, 2 მაისი. 1910 ფასი ყველგან 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგზაური

№ 3. ყოველკვირეული გაზეთი. № 3.

შინაარსი: ერთა ერთობა.—შინაური მიმოხილვა, ნარისა.—საზღვარ გარეთი.—რუსეთი.—ლექი, ვ. მალაქიაშვილისა.—უმუშევრობა, პ. გელეიშვილისა —ქართლის რაინდი, ლაშურელისა.—ჩემი სატრფო, ლექსი გ. ჭუჩიშვილისა.—შენ კი... ლექსი დ. თუდოსპირელისა.—ეკონომიური ცხოვრების განვითარება, შვარცისა. სოციალიზმი და ანარქიზმი, თარგმანი.—განცხადებანი.

1910 წლის 18 აპრილიდან ქ. თფილისში გამოდის სოციალიტიკო, სამეცნიერო ⁊ სალიტერატურო

ყოველკვირეული გაზეთი

„მოგზაური“

მონაწილეობას მიიღებენ: ბ. ახოსპირელი, ბესოშვილი, გრ. გიორგაძე, ი. გომართელი, ნ. ელიავა, ვიქტორი, თაგუნა, თურდოსპირელი, რ. კალაძე, კ. კანდელაკი, ლალიონი, ვ. მალაქიაშვილი, რ. ლეჩხუმელი, ნატო, მ. სხვაველი, გ. ჭუჩიშვილი, ყარიბი, ს. შაუმიანი, შვარცი, კ. ჯაფარიძე და სხ.

გაზეთის ფასი—ერთი წლით—5 მან. ნახევარი წლით—3 მან. ერთი თვით—ათი შაური. ბირველი №-დან წლის დამლევამდი 3 მ. 50 კ. ცალკე ნომერი **ორი შაური**. ხელის მოწერა შეიძლება აგრეთვე რამდენიმე ნომერსე, ორ-ორი შაურის ანგარიშით, არა ნაკლებ ხუთისა.

განცხადების ფასი: ბირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ. უკანასკნელზე—10 კაპ.

დროებით ს�sის მოწერა მიიღება მ. ჯილაძის სტამბის კანცელარიაში—ვილიამინოვის ქ. სახ. № 6

გაზეთში დასაბეჭდი წერილები და კორესპონდენციები უნდა იყოს დაწერილი სუფთად, უპველათ ერთ გვერდზე.

ვრცელი სტატიები შეინახება რედაქციაში ერთი თვის განმავლობაში. დანარჩენებზე რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის ხარჯის წარმოდგენა.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Могзаури“, Соломону Евстафіевичу Телія. (Типог. Киладзе)

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ფ. მგელაძე.

56730

ერთა ერთობა

დიდებული დევიზია! სწორეთ რომ სანატრელია, ნამეტურ ჩვენს დროში, როცა ყოველგვარი ერთობის დამამხობელნი უკვე შეერთებული არიან და ნიღაბ ახდილნი გამოდიან სცენაზე. დიახაც სასიქადულო საქმეა, და ყოველი მისი ხელის შემწყობი დაფნის გვირგვინით არის შესამკობი.

დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხს რუსეთის იმპერიისთვის, რომელიც სხვა და სხვა ერთა სახელმწიფოს წარმოადგენს; არა ნაკლები—კავკასიისთვის, რომელიც მრავალი წვრილი თემებით არის დასახლებული და არ არის მოკლებული ისტორიულ-კულტურულათ განვითარებულ ერებსაც.

ჩვენში და მთლათ რუსეთშიც ჯერ არავინ ზრუნავდა ამ დიდ საქმეზე გარდა მოწინავე პროლეტარიატისა. მაგრამ ახლა საზოგადოთ რუსეთისათვის ეს ზრუნვა თავს უდვია ახლათ დაარსებულ „რუსეთის ერთა გამაერთიანებელ საზოგადოებას“, რომლის აგენტი, ბ-ნი სემიონოვი, პირველ მერცხლათ მოევლინა ჩვენს დედა-ქალაქს გასულ დღესასწაულებში და ადგილობრივი ინტელიგენტების დახმარებით შეუდგა ხსენებული საზოგადოების განყოფილების მოწყობას. ადგილობრივი რუსული გაზეთები სიხარულით მიეგებენ ამ დაწყებულებას და რამდენათაც შეეძლოთ, ხელი შეუწყვეს.

ყოველივე ეს მეტათ სასიამოვნო იქნებოდა, ერთი „მაგრამ“-ი რომ არ დაყვებოდეს. ერთა გაერთიანებას იწყებენ ზევიდან, ეგრეთ-წოდებული „საზოგადოებიდან“ და იმედი აქვთ, რომ ამით გაკეთდება საქმე. ჩვენ ამ იმედს ვერ ვინაწილებთ, და როგორც უნდა დააყენონ საკითხი, საითაც უნდა მიაქციონ თავიანთი ყურადღება, უფლებრივ სფერაზე თუ კულტურულ მოღვაწეობაზე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთში გამწვავებული ეროვნული საკითხი მაინც გადაუჭრელი დარჩება; ასეთი მაღლიდან მონაბერი „საზოგადოება“ ვერაფერს გახდება ამ დიდ და რთულ კითხვაში. ვერ გახდება, რადგან რუსეთის «ერთა» შორის არსებული განწყობილება გამოწვეულია უფრო სერიოზული მიზეზებით, ვიდრე ეს ამ „გამაერთიანებელთ“ გონიათ.

არსებული ქიშპი და მოცილეობა გამოწვეულია არა მარტო შეუგნებლობით, გონებრივი განუვითარებლობით, არამედ უმთავრესათ და უპირველესათ ეკონომიური პი-

Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობებით. **მოცილეობენ და ქიშპობენ არა ერები, არამედ შეძლებული კლასები.** ნამდვილი ერი, ხალხი კი აქ არავითარ შუაში არ არის და დღეს რომ ისეთი პირობები გაბატონოთ, როგორსაც ხალხის ინტერესები მოითხოვს, ეს მწვავე საკითხიც ძალიან განელდება, თუმცა საბოლოოთ მისი გადაჭრა შეუძლებელია, სანამ არ შეიცვლება საერთოთ ეკონომიური პირობები, ე. ი., სანამ წარმოება ორგანიზაციას მოკლებულია და მასში გაბატონებულია კონკურენციის პრინციპი.

მაგრამ მაინც ვამბობთ განელდება-თქო, რადგანაც შესაძლებელია მოისპოს ზოგიერთი მხარე ამ მწვავე საკითხისა.

ჩვენ მიგვაჩნია ეს შესაძლებლათ, რადგან დემოკრატიის გამარჯვება და საქმეთა მართვის მის ხელში გადასვლა მისცემს გზას ხალხის უმრავლესობის აზრს. სრულებით არ არის, მაგალითათ, შიდა რუსეთის გლეხობისათვის საჭირო, რომ ქართველ გლეხებს გზას უხშავდენ შკოლისაკენ, ან ამახინჯებდენ უკვე შკოლაში მიბარებულ ჩვენ შვილებს ყოველ პედაგოგიურ მოსაზრებას მოკლებული და ბარბაროსული სასწავლო სისტემით. არც იმაშია დაინტერესებული რუსეთის გლეხობა, რომ ჩვენში უხსოვარ დროიდან მობინადრე გლეხობას მიწას ართმევდენ და რომელიმე შიდა გუბერნიიდან მოერეკებოდენ რუსებს აქეთ. მართალია, ოდესღაც, და არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, აწ უკვე ნეტარ-ხსენებული, როგორც მწერალი, რასაკვირველია, მეველე ამტკიცებდა: რუსის გლეხობას არ უყვარს თავისი სამშობლო, რადგან ის ვერ არის საკმაოთ კეკლუცი და სწორეთ ამიტომ მოდის დიდი ხალისით აქეთ, ჩვენს მშვენიერ მხარესაო! მაგრამ ეს ხომ ისეთი გულ-უბრყვილო „მეცნიერებაა“, რომ დღეს მას ანგარიშს არავინ გაუწევს. ყველამ ვიცით, რომ რუსებს ისევე უყვართ თავის სამშობლოს ტიალი მინდვრები, როგორც ჩვენ ჩვენი მთა-გორაკებიანი ქვეყანა.

და თუ მაინც შიდა რუსეთიდან ახერხებენ ხალხის გადმოსახლებას, თუ ბევრი მათგანი თავის სურვილითაც ეტანება არა თუ კეკლუც კავკასიას, არამედ თვით რუსეთზე უფრო გატიალებულ ციმბირსაც,—აქ მათ მოერეკება აუტანელი გაჭირვება, მემამულეთა გაუმაძღარი მადა და ამ მადის ამყოლი და დამკანონებელი ბიუროკრატია.

თავისი თვალსაზრისით ბევრი საფუძვლიანი მოსაზრებაც აქვთ უკანასკნელთ.

არ არის დაინტერესებული იგივე გლეხობა არც სხვა ერების გარუსებაში, არც სხვა ერების კულტურულ განვითარებისა და მოძრაობის წინააღმდეგი შეიძლება ქონდეს მას რამე.

პირ-იქით, მისი ინტერესი მოითხოვს სრულ სოლიდარობას მთელი რუსეთის მიწათმოქმედებთან, რამდენათაც ისინი კლასიურათ არ არიან დაყოფილი—თვით ერთ ენაზე მოლაპარაკენიც. და თუ ასეთია გლეხობის რეალური პოზიცია ამ საკითხში, კიდევ უფრო მკაფიოთ და აშკარათ არის გამოსახული და გამოთქმული პროლეტარიატის შეხედულება. მისთვის პროლეტართა შეერთება აუცილებელი მოთხოვნილებაა. მან კარგათ იცის, რომ მისი ხსნა მხოლოდ კლასობრივ სოლიდარობაშია და ამიტომაც გადალახა მისმა პარტიამ ეროვნული საზღვრები... ყველაზე უწინ რუსეთში გაერთიანება მოახერხა სწორეთ მოწინავე პროლეტარიატმა.

ნათქვამიდან აშკარაა, რომ ერთა დიდი უმრავლესობა სწორეთ ერთობაშია დაინტერესებული და თუ მაინც ეროვნული საკითხი გამწვავებულია, ეს არის გამოწვეული სხვა მიზეზებით და არსა ერთა შორის არსებული ინტერესების სხვა და სხვაობით. იგი არის შედეგი არსებული კაპიტალისტური წარმოებისა და ბურჟუაზიულ ჯგუფთა შორის არსებულ კონკურენციისა. კაპიტალისტთა კლასი ვერ კმაყოფილდება მისსა და სხვა ენაზე მოლაპარაკე უმრავლესობის ექსპლოატაციით; მისთვის საჭიროა სოციალურათ მის სიმაღლეზე მდგომ ჯგუფთა დაძლევაც და მთელი ბაზრის ხელში ჩაგდება, რადგან მეტი და მეტი სიმდიდრის თავის მოყრა ნაკლებ ჯგუფთა ხელში უცილობელი ტენდენციაა თანამედროვე ეკონომიური წყობილებისა. ხოლო რადგან ყოველი უბედურება მთელი თავისი სიმძიმით ხალხის უმრავლესობას აწვება კისერზე, აქაც ბოლოს ყველაზე მეტათ იჩაგრება მშრომელი კლასები. ეროვნული კითხვის გამწვავებაშია დაინტერესებული მმართველი ბიუროკრატია, რომლისთვისაც დღესაც სახელმძღვანელოთ არის დარჩენილი ძველ რომაელთა დევიზი: „გათიშე და იბატონეო“.

ასეთია ამ საკითხის თანამედროვე მდგომარეობა. და ამიტომაც ვამბობთ, მაღლიდან დაწყებული საქმე ვერასოდეს ვერ მიაღწევს მიზანს-თქო. კითხვის გადასაჭრელათ საჭიროა თვით ხალხს მიეცეს გზა თავის საქმეების მოწყობისა. მხოლოდ მშრომელ ხალხს შეუძლია ამ კითხვის გადაწყვეტა, ხოლო საბოლოოთ გადაწყვეტამდე მისი სიმწვავის შემსუბუქებაც.

ჩვენ ვერ შეგვიცვლის ამ რწმენას ის მოსაზრებაც, რომ ერთა შორის შუღლში ხშირათ ახერხებენ მშრომელი ელემენტების ჩათრევას. ეს მოვლენა აიხსნება ჩამორჩენილი ელემენტების მიერ თავისი კლასობრივი ინტერესების შეუგნებლობით. მაგრამ იგი წარმავალია. შეგნება ვითარდება და ღრმავდება და ახლო მომავალში შეუძლებელი გახდება მშრომელი კლასების ხელით მისი წამების გვირგვინისათვის ნარ-ეკლის კრეფა...

საინტერესოა თვით ის მოვლენაც, რომ ერთა გაერთიანების საქმეს ხელი მოკიდა თვით ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ. ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთში ფეხს იკიდებს განვითარებული, გაევროპიელებული კაპიტალი. მისთვის საჭიროა შინ „გაერთიანება“—რასაკვირველია, კლასობრივ საზღვრებში,—რომ ამით უფრო წელ-მომაგრებული გამოვიდეს საერთაშორისო ბრძოლის მოედანზე. ამ დასკვნის სინამდვილეში დაგარწმუნებთ თქვენ თუნდ იმავე კადეტების შეხედულება სახელმწიფოს ძლიერებაზე, აღმოსავლეთის პოლიტიკაზე, ნეოსლავიზმზე და სხვ. და აი, სწორეთ. ეს კადეტები არიან ამ ახალი საზოგადოების სულის ჩამდგმელნიც.

ამიტომ არა გვწამს ჩვენ ეს ახალი ლოზუნგი, ამიტომ ვერ გავყვებით ახალ „საზოგადოებას“. იქ მშრომელნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდი მოიყრიან თავს! ამ ტომ ჩვენ ისევ ჩვენ ძველ ლოზუნგს მივდევთ.

მშრომელი ხალხი გაერთიანებულია ამ საკითხში თავისი ინტერესებით. მისთვის ეხოლოდ ამისი შეკნებაა საჭირო და მაშინ იგი ადვილათ მიგვიყვანს ერთა გაერთიანებამდე და მის გათანასწორებამდეც.

შინაური მიმოხილვა

29 აპრილს, საღამოს, დიდი უბედურება დაატყდა ჩვენ ქალაქს. საშინელ წვიმასა და ქარიშხალს მოყვა დიდი ნიაღვარი, რომელმაც მეტათ საგრძნობელი ზარალი მიაყენა ქალაქის მცხოვრებლებს და რამდენიმე ადამიანიც იმსხვერპლა. დაზარალებულთა შორის ჩვეულებრივ უმწეო ხალხია; სარდაფებში და ქოხმახებში მცხოვრებნი.

მართალია, ნიაღვარი თფილისისათვის ჩვეულებრივ მოვლენათ არის გამხდარი და ყოველ წელიწადს რამდენიმეჯერ გადაგვრეცხს ხოლმე, მაგრამ ასეთი საგრძნობელი ზარალითა და საცოდავი მსხვერპლებით იშვიათად სრულდება იგი.

რა თქმა უნდა, ამ მოვლენის მთავარი მიზეზი ბუნებაა; იგი სტიქიურია, მაგრამ მაინც არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ აქ ადამიანთა დაუდევრობა, რომელიც ნებას აძლევს სტიქიონს ასეთ უბედურებაში ჩაყაროს ხალხი. ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ თუ არ ასეთი დაუდევრობა, უბედურების მსხვერპლი ბევრათ უფრო ნაკლები იქნება და ამიტომაც ვაქცევთ ამ გარემოებას ყურადღებას.

თფილისის ადგილ-მდებარეობა ისეთია, რომ ყოველი დიდი წვიმების დროს მთელი ქუჩები წყლით იფარება და ჩვეულებრივი წვიმების დროსაც არ უხერხდება მცხოვრებლებს ერთი ტროტუარიდგან მეორეზე გადასვლა.

მაგრამ ტოპოგრაფიული მდგომარეობა სრულიათ ვერ გაამართლებს ადამიანი დაუდევრობას, რადგან ადამიანი სწორეთ მით განსხვავდება სხვა ზოოლოგიური ტიპებიდან, რომ ბუნებასთან გამკლავებას და სტიქიონთან შებრძოლებას ახერხებს.

აი, ეს ვალდებულება აწევს იმათაც, ვისთვისაც ჟამთა-ვითარებას მიუნდვია ქალაქის სვე-ბედზე ზრუნვა. ასეთ ორგანოთ კი კანონითაც და საშვალებითაც ქალაქის თვითმართველობა უნდა ჩაითვალოს. სწორეთ მისი მოვალეობაა ასეთ საქმეზე ზრუნვა. მაგრამ ზრუნვა უნდა იყოს მიზანთან შეთანხმებული და დროზე მოსაზრებელი. და რადგან ასეთი უბედურება ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა, თვითმართველობის ორგანოებიც უნდა შეუდგენ საქმის მოგვარებას. ეს მოვლენა რომ სტიქიურია, ამით ვერ გაიმართლებენ თავს, რადგან მოუგვარებელი და მოუხერხებელი აქ არაფერია. მართალია, ამ საქმისთვის საჭირო იქნება დიდი თანხა, მაგრამ არც ამან უნდა დაახევინოს უკან, რადგან საქმე მეტათ მნიშვნელოვანია.

ჩვენ გვგონია, რომ ტეხნიკურათ ადვილი მოსახერხებელია ქალაქის განსაზღვრულ ნაწილებში ისეთი დახურული არხების გაყვანა, რომელთაც შეეძლება მიიღონ თავისუფლათ ჩვეულებრივი დიდი წვიმების წყალი. ასეთი არხები უნდა გაკეთდეს ქალაქის იმ ადგილებში, სადაც მაღლობი ნაწილებიდან ჩამოვარდნილი წყალი იყრის თავს. თუ ერთი ვერ დაიტევს, შეიძლება ასეთი არხები ორი რიგიც გაკეთდეს და სარტყლისებურათ შემოერტყას ქალაქს. უამისოთ ქალაქის ხსნა შეუძლებელია ამ უბედურებიდან. მაშინ კი უჩვეულო წყალდიდობის დროს, უარეს შემთხვევაში, მხოლოდ ისეთი სურათი წარმოგვიდგება, როგორსაც ახლა ჩვეულებრივი წვიმების დროს ვხედავთ ავჭალის, რიყის და სხვა ასეთ ქუჩებზე. ჩვეულებრივ შემთხვევებში კი სრულიად დაცული ვიქნებით ასეთი უბედურებისაგან. თორემ, პირდაპირ სირცხვილია ასეთი დიდი ქალაქისთვის ის საშინელი შედეგი, რომელიც მოყვება ხოლმე ჩვეულებრივ წვიმებს. და თუ თვითმართველობა ამაზე ზრუნვას არ იკისრებს და დაზარალებულ ადგილების ჩვეულებრივი შემოვლით და წვრილმანი ქველმოქმედებით დაკმაყოფილებას მოისურვებს, მაშინ მით უფრო აშკარა იქნება, თუ როგორ ზრუნავს იგი ქალაქის განაპირა მცხოვრებთა ინტერესებზე, ვინაიდან აღნიშნული უბედურება განსაკუთრებით ამ უკანასკნელთ ატყდება თავს.

***

მეორე მოვალეობა-უფლებაც ვერ შეასრულა რიგიანათ ჩვენი ქალაქის გამგეობამ. ამ რამდენიმე ხნის წინათ, რაც უკვე აღნიშნეს დაინტერესებულმა წრეებმა და ზოგიერთმა ადგილობრივმა გამოცემებმაც, ასარჩევი იყო ნოქრებიდან იმ შერეულ კომისიის წევრები, რომელსაც მინდობილი აქვს სავაჭრო დაწესებულებებში ნორმალური დასვენების წესების შემოწმავება. ამ საქმის ხელმძღვანელობა კანონით მინდობილი აქვს ქალაქის გამგეობას. ჩვენმა გამგეობამაც, თანახმათ ადმინისტრაციის დავალებისა, მოიწვია ნოქრების კრება და წარმომადგენლებიც აარჩევია, მაგრამ, როგორც სამართლიანათ შენიშნეს გაზეთებმა, ორი ისეთი სავალდებულო და მნიშვნელოვანი პირობა დაარღვია საქმის ასრულების დროს, რომ მართლაც შეუძლებელია 11 აპრილს მომხდარი არჩევნების კანონიერათ ცნობა: გამგეობამ მოიწვია კრება ისეთ უქმე დღეს, როცა ყველა სავაჭრო დაწესებულებებში მუშაობა იყო გაჩაღებული. ამ მიზეზით კრებას ბევრი ისეთი ნოქარი დააკლდა, რომელნიც უეჭველათ დაესწრებოდენ. მეორე უკანონობა, როგორც „Нов. Рѣчь“-ი აღნიშნავს, კანონის წინააღმდეგ კრებაზე გამგეობის წევრის თავმჯდომარეობაა ნაცვლათ კრების მიერ არჩეულ თავმჯდომარისა. წესების ასეთი დარღვევა იმდენათ შეუწყნარებელია, რომ ჩვენ სავსებით ვეთანხმებით მომხდარი კრების უკანონოთ გამომცხადებელთ და ვთხოულობთ ხელ-ახალი კრება მოხდეს. მართლაც თუ ნოქრები მოკლებული იყვენ კრებაზე დასწრების საშვალებას, თუ გამოცხადებულ კრებას გარეშე პირი ხელმძღვანელობდა, რაღა აზრი აქვს ასეთ პირობებში მომხდარ კრებას?

თუ ამ პირობათა ასრულების საჭიროება „დროებითი წესების“ დამდგენლებმა შეიგნეს, ქალაქის გამგეობას რაღა მოუვიდა? ამ კითხვას, ეს მესამე კვირა სრულდება, უყენებენ გამგეობას, მაგრამ იგი სდუმს, თითქო აქ არაფერი მომხდარაო. რით უნდა ავხსნათ მისი ასეთი ყოფაქცევა? ნუთუ არაფრათ აგდებს საზოგადოებრივ აზრს მაინც?

ნარი.

საზღვარ გარეთი.

საფრანგეთი. კარგა, ხანია რაც საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში ერთმანეთს ებრძვის ორგვარი მიმართულება — ორტოდოქსალური მარქსიზმი და რევიზიონიზმი. უკანასკნელი მიმართულება თავისი მხრით მრავალფეროვანია. რევიზიონისტების ერთმა ნაწილმა მინისტრის პორტფელი იგდო ხელში და სოციალისტურ პარტიასაც გამოემშვიდობა. მეორე ნაწილი, რომელსაც მეთაურობს ჟორესი, და რომელშიაც შედიან სხვა და სხვა ჯურის რეფორმისტები და ლეგალისტები, უფრო წინააღმდეგი აღმოჩნდა. მან იცის, რომ მინისტრის პორტფელი თუმცა გემრიელი ლუკმაა, ხანგრძლივი არ არის. უფრო სელსაურელია სოციალისტურ პარტიაში დარჩენა და ფართო მასსაზე დამუარება, მისი მეოხებით თავისი წვრილ-ბურჟუაზიული სულის კვეთების ცხოვრებაში გატარება. ასეც მოიქცენ.

მათი აზრით, სოციალიზმი განუენებული იდეალია, რომელიც საუკუნეთ მხოლოდ შორეულ მომავალში განხორციელდება დღევანდელი წესწყობილების წვრილ-წვრილი რეფორმებით. სოციალიზმის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ბურჟუაზიული კლასების დახმარებით, ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის მეოხებით. სოციალიზმი მეარდება ეოველ-დღე, ნელ-ნელა და შეუმჩნევლათ. ერთ რეფორმას მეორე მოეგება, მეორეს მესამე და ამსაირათ. შეუმჩნევლათ ამოვეოფთ თავს სოციალიზმის სამეფოობელოში. ეს რომ ასე მოხდეს, საჭიროა, მხარი დაუჭირონ იმ პარტიებს, რომლებსაც დღეს ცხოვრებაში რეფორმების გატარების ძალა შესწევთ. საჭიროა კლასთა თანამშრომლობა. ეოველგვარი დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება სოციალისტური პარტიისათვის მავნებელია.

ამ მიმართულებამ მეტათ ათლათ იჩინა თავი, როცა ჯერი მიდგა მუშათა ბენსიებზე. უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც საფრანგეთის პარლამენტში აღიძრა კითხვა მუშების სიბერის დროს უზრუნველეოფის შესახებ. ორმოცამდე კანონ-პროექტი გამოცხვა ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ ვერც ერთ მათგანმა ვერ ისილა მზის სინათლე, ვერ იქცა კანონათ. პარლამენტმა, რომელსაც სამხედრო ხარჯებისათვის მიღიარდების შოვნაც არ უძნელდება, მუშების უზრუნველ-საეოფათ წყარო ვერსად გამოძებნა. მაგრამ მუშათა ორგანიზაციების გაძლიერებამ მათაც ძალი დაუფრთხო. 1906 წ. ქვედა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი მუშათა ბენსიის შესახებ. სენატმა, რომელიც საფრანგეთში ზედა პალატას შეადგენს, უარეო ეს კანონ-პროექტი და მის მაგივრათ შეიმუშავა სხვა.

ამ კანონის თანახმათ ეოველი მუშა იხდის წლიურათ ექვს ფრანკს. თუ მისი ოჯახის სხვა წევრებიც — ცოლი ან შვილები მუშაობენ, მაშინ იხდის მეტს — 24 ფრანკამდე. ამდენსვე ხდიდის მწარმოებელიც, ხაზინაც იხდის განსაზღვრულ თანხას. ამნაირათ შეგროვილი თანხა წარმოობაში გადადის. ორმოცი წლის შემდეგ დღიდან კანონ-პროექტის მიღებისა, ის მუშები, რომლებიც მუდამ იხდიდენ ხსენებულ გადასახადს, თუ მიაღწევენ 65 წლამდე, მიიღებენ ბენსიას — თითო ფრანკს დღეში. ხოლო ორმოცი წლის განმავლობაში, სანამ ბენსიის მიღების ვადა მოვიდოდეს, 65 წლის მოხუცები იღებენ ერთ-დროულ დახმარებას 100—120 ფრანკს. (ფრანკი $37^1/_2$ კაპ.).

გედისტებმა ამ კანონ-პროექტს სასტიკი ომი გამოუცხადეს. შრომის საეოველთაო კონფედერაციას ორჯერ შეეკითხენ ამ კანონ-პროექტის შესახებ და მან ორჯერვე ზიზღით უარეო. მოწინააღმდეგეები ამბობდენ, მუშათა კლასი ქმნის კაპიტალისტური საზოგადოების მთელ სიმდიდრეს, თავის შექმნილ სიმდიდრიდან მას აძლევენ სრულიად უმნიშვნელო ნაწილს ხელოვნის სახით, მათი ნაშრომით უზრუნველ-ეოფილი არიან კაბატონებული კლასები. როცა თვითონ მუშების სიბერის დროს უზრუნველეოფაზე მიდგა საქმე, ამ მიზნისათვის ისევ მუშების ხელ-ფასისათვის ბაჟის დადება დასჭირდათ.

გედისტები წინააღმდეგი იევენ აგრეთვე მოეხდინათ მუშათა ხელფასის კაპიტალიზაცია და ამ გზით შეგროვილი მილიარდები გადაეცათ ბურჟუაზიული მთავრობის განკარგულებაში ეს მილიარდები — მათი აზრით — შინაურ თუ გარეულ მტერთან ომის დროს ხიფათს ვერ ასცდებოდა.

გედისტები უთითებდენ იმ გარემოებაზე, რომ მუშათა მხოლოდ $8^0/_0$—$10^0/_0$ ძლივს აღწევს 65 წლამდე. ასე რომ, ამ კანონით ბენსია ეხმარება უფრო მკვდრებს, ვიდრე ცოცხლებს. მუშებმა უნდა იხადონ თავის სიცოცხლეში ფული, რომ თავისი სიბერე კუბოში უზრუნველეოფონ.

მიუხედავათ ასეთი სიმახინჯისა, ჟორესმა და მისმა მეგობრებმა ამ კანონ-პროექტს მხარი დაუჭირეს და მოითხოვეს, რომ შეერთებულ სოციალისტებს პარლამენტში ამ კანონ-პროექტისათვის მიეცათ ხმა. ჟორესმა მას უწოდა „მიმდინარე საუკუნის უდიდებულესი რეფორმა“. უკანასკნელმა კონგრესმა, რომელიც ოთხ დღეს გაგრძელდა, სამი დღე ამ კითხვას მოანდომა. ჟორესმა მუქარასაც კი მიმართა. მან განაცხადა, რომ თუ კანონ-პროექტი უარეოფილი იქნება, პალატიდან წავალო. დიდი ხნის კამათის შემდეგ 193 ხმით 157 წინააღმდეგ მიღებულ იქნა ვალიანის რეზოლიუცია, რომელიც ერთი მხრით უჩვენებს კანონ-პროექტის სუსტ მხარეებს და მეორე მხრით საეალდებულოთ ხდის მის მხარის დაჭერას. ამნაირათ, რეფორმიზმა გაიმარჯვა ორტოდოქსალურ მარქსიზმზე. ეს უმთავრესათ ალბათ იმითი აიხსნება, რომ საფრანგეთის მცხოვრებთა რიცხვით სოფელი სჭარბობს ქალაქს. სოფელზე მოდის მცხოვრებთა $^7/_{12}$. სამრეწველო კაპიტალი მუქთა-ხორა რენტიორების კაპიტალთან შედარებით სუსტათ არის განვითარებული. ამის გამო პარტიაში წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტები სჭარბობენ წმინდა პროლეტარულ ელემენტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის ცხოვრება.

გასული ორი კვირა სიეზდების კვირა იყო. 21 და 22 აპრილს პეტერბურგში გაიხსნა ოთხი სიეზდი. ამათგან პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ლიტერატორთა სიეზდის შესახებ უკვე გვქონდა მკითხველთან წინასწარი საუბარი. დანარჩენი სიეზდები ჩვენთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია და ამიტომ მათზე ამ მხრით უფრო ცოტა ხნით შევჩერდებით. ახლა კი ვეცდებით მკითხველს გავაცნოთ ამ სიეზდების ნამოქმედარი.

***

პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის სიეზდი. როგორც ვიცით, სიეზდი გაიხსნა 21 აპრილს, დღის ორ საათზე, სალიანოი გოროდოკში. დაესწრო 300-დე კაცი. მუშათა ორგანიზაციებიდან მხოლოდ მოსკოვიდან გამოცხადდა სამი კავშირის წარმომადგენელი.

სიეზდის თავმჯდომარეთ აირჩიეს ცნობილი ოქტომბრისტი ფონ-ანრეპი, მდივნათ ექიმი ქალი პაკროვსკისა. ფონ-ანრეპმა მადლობა გადაუხადა სიეზდს თავმჯდომარეთ არჩევისთვის და შემდეგ სთქვა, რომ ამ სიეზდმა მუჯლუგუნი უნდა წაკრას საზოგაფოებრივ ინიციატივას პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეშიო. მან უნდა გამოიკვლიოს, გაანათოს ის მ ზეზები, რომლებიც ასაზრდოვებენ პროსტიტუციას და მანვე უნდა გამონახოს ამ მიზეზთა წინააღმდეგ საბრძოლველი საშვალებაო. ბ. ფონ-ანრეპის აზრით კი ეს საშვალებანი მდგომარეობს შემდეგში: სახალხო განათლების ფართოთ გავრცელება, ქვეყნის ეკონომიური ძალების აწევა, მუშათა ცხოვრების გაუმჯობესება, ხელფ სის აწევა, მთავრობის მიერ მუშათა პროფესიონალური კავშირების ნების დართვა და მათთვის ხელის შეწყობა, მუშათა საცხოვრებელ სახლების სანიტარული პირობების გაუმჯობესება და დედაკაცისა და მამაკაცის უფლებრივათ გათანასწორება.

ფონ-ანრეპის შემდეგ ილაპარაკა რამდენიმე ორატორმა და სიეზდმა მოისმინა აგრეთვე მილოცვები.

რუსეთის გაზეთების სიტყვით, სიეზდს დიდი ინტერესით მოუსმენია მოსკოვის პროფესიონალური კავშირების წარმომადგენელის პავლოვის მოკლე და ენერგიული სიტყვა.

პავლოვმა ღრმა მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ არსებული პოლიტიკური მომენტი და თვით სიეზდის ორგანიზაცია საშვალებას არ აძლევს მუშებს, ფართო მონაწილეობა მიიღონ სიეზდში.

ჩვენ მოვედით აქ—განაცხადა პავლოვმა--არა იმიტომ, რომ ვუწამლოთ ბოროტებას, არამედ იმისთვის, რომ მივუთითოთ იმ მიზეზებზე, რომელმაც გამოიწვია პროსტიტუცია და რომლებიც იმარხება მუშათა პოლიტიკურ და ეკონომიურ უუფლებობაში. ჩვენ მოვედით აქ, რათა ხმა-მაღლა ვაღიაროთ, რომ მხოლოდ კლასობრივ წინააღმდეგობის მოსპობასთან ერთათ მოისპობა პროსტიტუციაც.

პირველი სხდომა დასრულდა პროფ. ბეხტერევის მოხსენებით სქესობრივ საკითხის შესახებ.

მეორე სხდომაზე დაიწყო სექციების მუშაობა. პირველი სექციის თავმჯდომარეთ აირჩიეს მოსკოვის მუშათა კავშირების წარმომადგენელი პავლოვი. სექციამ მოისმინა ორი მოხსენება: გენერალ ლესკოვიჩისა, ყირიმის თამბაქოს პლანტაციებში მუშათა მდგომარეობის შესახებ და პროფ. დრილისა—ბავშვების მიგდება, როგორც მთავარი მიზეზი ბავშვთა პროსტიტუციისა. სექციამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ის სასურველათ სცნობს, რომ შემოღებულ იქნას ქალთა ინსპექცია, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ქალთა შრომის პირობებს საერთოთ და კერძოთ თამბაქოს პლანტაციებში.

მეორე სექციაში მოხსენება წაიკითხა ქ-ნ მილიუკოვისამ. ის საჭიროთ სცნობს მუდმივი ორგანიზაციის დაარსებას, რომელმაც პროპაგანდა უნდა გასწიოს პროსტიტუციის წინააღმდეგ ბროშურების, ლექციებისა და სხ. საშვალებით. სექცია დაეთანხმა მომხსენებელს. ქ. ქ. პანინას და ფონ-კუბეს მოხსენებაზე, რომელიც ეხებოდა სამუშაოს საძებრათ წასულ ქალიშვილებზე მზრუნველობას და ქალთა ექსპლოატაციის წინააღმდეგ ზომების მიღებას, სექციამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც სამუშაოს ძებნის შემსუბუქებისთვის საჭიროთ იქნა აღიარებული განსაკუთრებული ორგანიზაციის მოწყობა. ამ ორგანიზაციამ უნდა მოაწყოს აგრეთვე ქალიშვილებისთვის საიმედო ბინები. მიიღეს აგრეთვე რეზოლიუცია მუშა ქალიშვილების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. რეზოლიუციის აზრით ეს ზომები შემდეგია: მოსულებისთვის იაფი შენობები და საერთო საცხოვრებელი, შრომის ბიურო, დამხმარე კასა, შემნახველი კასა და საერთოთ დახმარება. პროსტიტუციის განვითარებისა და მასთან ბრძოლის შესახებ სექციამ ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა შემოღებულ იქნას კანონი ოჯახში და კერძო პირებთან მოსამსახურე ქალთა ნორმალური დასვენების შესახებო.

მესამე სექციაში ბ. ბოროვიტინოვმა მოხსენება გააკეთა შემდეგ ტემაზე: „საროსკიპო სახლები და მასთან კანონმდებლობისა და მედიცინის დამოკიდებულების სხვადა-სხვა საფეხურები“. მან სთქვა: მედიცინა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არსებული საროსკიპო სახლები არა თუ ხელს უშლიან, პირიქით, უწყობენ კიდეც სიფილისის გავრცელებას. ამიტომ 1890 წ. მედიცინური საბჭო საროსკიპოების გაუქმების მომხრე იყო. ბ. ბოროვიტვინოვმა, აღნიშნა რა საროსკიპოების სრული უნაყოფობა ავათმყოფობის ხელის შეშლის საქმეში, წინადადება მისცა სიეზდს, რომ მან აღიაროს საჭიროთ ყველა საროსკიპოების დახურვა. სხვა ორატორებმაც გამოსქვეს ამგვარივე აზრი.

სიეზდზე მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: ეღებულობთ-რა მხედველობაში, რომ გარყვნილების ადგილების მთავრობის ცნობით და ნებართვით არსებობა ეწინააღმდეგება თანამედროვე საზოგადოების ეთიკურ შეხედულებას, სცემს საზოგადოების თვალში სახელმწიფოს პრესტიჟს და აძნელებს მაჭანკლობის, რა სახისაც არ უნდა იყოს ის, **წინააღმდეგ ბრძოლას; რომ საროსკიპო** სახლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი ხელს უწყობენ სიფილისის გავრცელებას, ბადებენ და ავრცელებენ ქალებით ვაჭრობას, აძლიერებენ მამაკაცთა შორის გარყვნილებას თავის წვრილმან ფორმებში, გათახსირება შეაქვს მცხოვრებლებში და საექიმო-საპოლიციო ზედამხედველ ორგანოებში,—ამიტომ სიეზდი წინადადებას აძლევს ქალთა დამცველ საზოგადოებას, შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, ყველა საროსკიპო სახლების დაუყონებლივ დახურვის შესახებ.

* * *

სრულიად რუსეთის მწერალთა მეორე სიეზდი. სიეზდი გაიხსნა 22 აპრილს. დაესწრო 200 კაცი. სიეზდი გახსნა გრადოვსკიმ. მან სთქვა: მეორე სიეზდის მოწვევაში მე ვხედავ დღესასწაულს ჩვენ ქუჩაზე, მე ვხედავ მწერლებისა და საზოგადოების იმ ნაწილის დიდი ხნის სურვილის ასრულებას, რომელსაც უყვარს ჩვენი ლიტერატურაო. გრადოვსკი აირჩიეს სიეზდის საპატიო თავმჯდომარეთ. თავმჯდ. აირჩიეს ჟილკინი, მისი მმხ. შოლცი, კრასნოვი და შაპირი, მდივნებათ არაბაჟინი და მაგილიანსკი. ჟილკინმა სთქვა, რომ ეს სიეზდი პირველი სიეზდიდან იმით გაირჩევა, რომ უფრო პროფესიონალური ხასიათის არისო მისი უმთავრესი მიზანია—ლიტერატორთა შეერთება მატერიალურ და პროფესიონალურ ინტერესების ნიადაგზეო

კულიაბკო-კორეცკიმ განაცხადა: პროფესიონალური ჟურნალისტები მეტათ შეწუხებული არიან მწერალთა შორის მომხდარი განხეთქილებითო. ორატორის წინადადებით სიეზდმა გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „უცხადებს-რა გულწრფელ პატივისცემას ყველა დამსწრეთ, სიეზდი თავის ცხოველ სიმპატიას ამცნობს მათაც, რომლებიც სიეზდს არ დაესწრენ“.

საღამოს სხდომაზე სიეზდმა მოისმინა ორი მოხსენება: კრანიხფელდისა (პეტერბურგი) ლიტერატურისა და კაპიტალის შესახებ და ლებედევისა (სამარა) პროვინციალურ ჟურნალისტების მდგომარეობის შესახებ. ბ. ლებედევმა მოიყვანა აუარებელი ცნობები, რომლებიც ამტკიცებენ პროვინციალური ჟურნალისტების საშინელ მდგომარეობას. ადმინისტრაციის შევიწროება აიძულებს ჟურნალისტებს მუდამ გადადიოდენ ერთი ადგილიდან მეორეში. ანკეტამ დაამტკიცა, რომ პროვინციალური ჟურნალისტი ვერ დგება ერთ ალგას ორ წელიწადზე მეტ ხანს. ეს გავლენას ახდენს პრესაზედაც, რომელიც მუდამ იცვლის მუშაკებს. პროვინციალურ ჟურნალისტების მდგომარეობაზე ცუდი გავლენა აქვს აგრეთვე ამ უკანასკნელ დროს სატახტო ქალაქებში დაარსებულ სალიტერატურო ბიუროებს, რომლებიც სრულებით უკარგავენ ფასს ადგილობრივი ჟურნალისტების შრომას. მომხსენებელის აზრით ამ მოვლენებს წინააღმდეგ საჭიროა ენერგიული ბრძოლა. ორივე მოხსენებამ გამოიწვია ხანგრძლივი კამათი.

* * *

ახ, რათ იყო იგი ღამე
აგრე ტურფა, მომხიბლავი!..
გულს მან შხამი ვერ დაუშრო
და თვალს ცრემლი ცეცხლებრ მწვავი...
სასოებამ ფრთა აისხა,
აჩურჩულდა გულს იმედი;
საოცნებო ბურუსიდან
გამოიჩკვა მხსნელი ბედი ..
და ველოდი წამს ბედნიერს,
გაშუქებას, სხივის ტყორცნას,
დატანჯული გულის შვებას,
წმინდა ამბორს, ღვთიურ კოცნას...
მარა... იმედს შუბი სტყორცნეს,
განგმირული გულს ჩამაკვდა,
ასაჟღერათ გამზადილი
ვაჰმე!.. სიმი ქნარს დააწყდა ..

—

ახ, რათ იყო იგი ღამე
აგრე ტურფა, მომხიბლავი!..
გულს მან შხამი ვერ დაუშრო
და თვალს ცრემლი ცეცხლებრ მწვავი...

ვ. მალაქიაშვილი

უმუშევრობა.

I *)

უმუშევრობა და შიმშილი არიან განუყრელი თანამგზავრები ჩვენი დროის ცივილიზაციისა, რომელიც დამყარებულია კაპიტალისტურ წარმოებაზე.

ყოველი ცვლილება ხალხის მრეწველობასა და მეურნეობაში; გაუმჯობესება წარმოების ტეხნიკისა, ყოველი ახალი გამარჯვება ადამიანის შემოქმედებითი ნიჭისა ბუნების ძალებზე, ქმნის რა წარმოების ახალ ფორმებსა და ახალ პირობებს, ათასობით გამოისვრის ხოლმე ქუჩაში იმ მუშებს, რომლებიც ძველ წარმოების ფორმებსა და პირობებში მუშაობდენ. ის ახალი მანქანა და ტეხნიკური საშვალების გამოგონება, რომელიც მთელ პროგრესს მოასწავებს კაცობრიობის ცხოვრებაში, დიდი უბედურების მომასწავებელია იმ მუშებისათვის, რომლებიც უკვე გაუქმებულ წარმოების ფორმებში მუშაობდენ.

სწორეთ აქ მართლდება პოეტის სიტყვები:

„ღმერთმა ერთი რათ აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს“.

მაგრამ მუშათა ცხოვრებაში ყველაზე უფრო დიდი და საშინელი მნიშვნელობა აქვს ეგრეთ წოდებულ დროგამოშვებითი კრიზისებს წარმოებაში.

უმუშევრობისა და უმუშეკართა სამშობლოთ ის სახელმწიფოები ითვლებიან, სადაც კაპიტალი უფრო მეტათაა განვითარებული. მართალია, კაცობრიობის კულტურის არც ერთი საფეხური არ ყოფილა ამ სენისგან თავისუფალი, არასოდეს არ მიუღია ისეთი ხასიათი, როგორც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, მაგრამ უმუშევრობა მაინც იყო მას შემდეგ, რაც ადამიანი იძულებული შეიქნა თავისი ფიზიკური ძალა გაეყიდა და მით თავი ერჩინა.

*) იხ. „მოგზ.“ № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ, როცა წარმოება ნატურალური იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ყველა თავისთვის მუშაობდა, არც უმუშევრობაზე შეიძლებოდა ლაპარაკი. მაგრამ, როცა ნატურალური წარმოების ადგილი თანდათან კაპიტალისტურმა წარმოებამ დაიჭირა, უმუშევრობამაც მუდმივი ხასიათი მიიღო. მაშინ თავისთავათ იბადება შიში იმის შესახებ, რომ რომელიმე ბაზრის დაკარგვას თან მოყვება აუარებელ მუშათა ძველი სფერიდან განდევნა და უმუშევრათ დარჩენა.

ნატურალური წარმოების ხანაში არ ასებობდა მუშათა საკითხიც ამ საკითხის დღევანდელი მნიშვნელობით. მაშინ არ იცოდენ ისეთი არა ნორმალური მოვლენა, როცა ჯან-საღი და საქმიანობას მოწყურებული ადამიანი ვერსად სამუშაოს ვერ პოულობს. იმ ბედნიერ დროს, როცა ადამიანს ყოველ ხის ძირში შეეძლო საზრდო ეპოვნა, მხოლოდ კეთროვნები და სალახანა მცონარეები თუ დარჩებოდენ მშიერ-მწყურვალე. იმ დროს მხოლოდ **მათხოვრები** და დავრდომილები იქნებოდენ და არა **უმუშევრები.**

პრიმიტიულ კულტურის ხანაში უმუშევრობასაც,— ამ საკითხის დღევანდელი მნიშვნელობით მაინც,—ადგილი არ ქონდა. ეს იქიდანაც სჩანს, რომ საბერძნეთის უძველესმა კანონმდებლობამ არ იცოდა, თუ რა იყო უმუშევართა საქმე. მე VII და მე VI საუკუნოებში ქრისტეს დაბადებამდე საბერძნეთის კანონმდებლობამ იცოდა მხოლოდ თავისი მიზეზით უმუშევრობა (безработица по собственной винѣ) და ასეთი უმუშევრობისათვის ბერძნები სასტიკათა სჯიდენ დამნაშავეს... მაგრამ ნატურალურმა წარმოებამ თან და თან დაუთმო ალაგი კაპიტალისტურ წარმოებას. შეიცვალა წარმოების ძველი ფორმები და ამას თან მოყვა უმუშევართა კანონების შეცვლაც...

მონების იაფმა შრომამ თითქმის სრულიად განდევნა ბაზრიდან შრომა თავისუფალი მოქალაქისა. ამან გამოიწვია უმუშევრობაც და მაშინდელი დიდი ქალაქებიც იძულებული შეიქნენ უმუშევართა შესახებ კანონები გამოეცათ. მაგრამ იმ დროინდელი კანონები უმუშევრობასთან საბრძოლველათ მხოლოდ იმ დროის შესაფერი იყო. უმუშევრათ დარჩენილ მოქალაქეთ ასახლებდენ ახლათ დაპყრობილ ქვეყნებში და იქ მიწას აძლევდენ საკუთრებათ. ასეთი ზომების მიღება უმუშევართა რიცხვის შესამცირებლათ ყველა სახელმწიფოს როდი შეეძლო! ასე იქცეოდენ მხოლოდ დიდრონი და ძლიერი სახელმწიფოები და ისიც მათთვის ბედნიერი ომიანობის შემდეგ. ასეთი სახელმწიფო იყო ათინა, რომელიც აწარმოებდა ასეთ პოლიტიკას მე-V საუკუნეში ქრისტეს დაბადების წინ. მაგრამ ბერძნები და შემდეგ რომაელები მარტო ასეთ კოლონიზაციურ პოლიტიკას როდი ჯერდებოდენ. ისინი უფრო ხშირათ დიდ საეროვნო მუშაობას იწყებდენ: გაყავდათ არხები, აშენებდენ საეროვნო შენობებს, გადაყავდათ მდინარე ერთი არხიდან მეორეში და სხვა... ვინ იცის, იქნება უმეტესი ნაწილი ხელოვნების იმ საკვირველი ნიმუშებისა, რომელსაც დღესაც განცვიფრებაში მოყავს მთელი კაცობრიობა, გაკეთებულია უმუშევართა ხელებით.

მაგრამ ყოველივე ეს საკმაო არ იყო უმუშევრობასთან საბრძოლველათ და რაც დრო გადიოდა, მით უფრო და უფრო დიდდებოდა უმუშევართა რიცხვიც.

ყოველი დიდი ომიანობის შემდეგ მოქალაქეს სურვილი ეკარგებოდა ხელ-ახლათ დაემუშავებინა მიწა, ხელ-ახლათ აღედგინა თავისი დანგრეული ოჯახი, გაეჩაღებია მიმქრალი კერა. ის უფრო იმას არჩევდა, რომ სადმე სამუშაო ეშოვნა, ვინმესთვის მიეყიდა თავისი ფიზიკური ძალა და თავი ისე ერჩინა. ამიტომაც, ხალხი გარბოდა ქალაქებისაკენ. მაგრამ ქალაქები ყველა მუშაობის მაძებარს ვერ მისცემდა საქმეს და თვითონ სახელმწიფო ხდებოდა იძულებული დახმარება გაეწია ამ ბოგანო ხალხისთვის. მაშინდელი საბერძნეთისა და რომაელების მთავრობა მით უმეტეს იძულებული იყო დახმარება გაეწია უმუშევართა დარჩენილ ბოგანო ხალხისთვის, რომ თუ უკანასკნელთ ქონებრივი ძალა არ ქონდათ, პოლიტიკური უფლება მაინც დარჩენოდათ და მთავრობაც იძულებული იყო ასეთი პოლიტიკური უფლებით აღჭურვილი ხალხისათვის ანგარიში გაეწია: ან სამუშაო შეექნა მათთვის, ან და ერჩინა სახელმწიფოს ხარჯზე.

ამნაირათ, მაშინდელი უმუშევრები ბევრათ ბედნიერები იყვენ დღევანდელზე. იმ დროს მათი საარჩევნო ხმა სწყვეტდა ამა თუ იმ მთავრობის ბედ-იღბალს. თუ მთავრობა მათ გულს არ მოიგებდა, არც უმუშევრები დარჩებოდენ ვალში. ამიტომაც იყო, რომ მაშინდელი ქვეყნის გამგენი ერთმანეთს ეცილებოდენ უმუშევართა დახმარებაში. ამიტომაც იყო, რომ ერთი მთავრობა მეორეს ეჯიბრებოდა დემოკრატიული რეფორმების შემოღებაში.

როგორც ზემოთაც ვთქვით, ერთ დიდ საშვალებათ უმუშევრობასთან საბრძოლველათ მიღებული იყო უმუშევართათვის მიწების საკუთრებით მიცემა. მაგრამ ამას თავისი დიდი ნაკლიც ჰქონდა და ეს ნაკლი დღითი-დღე უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდებოდა. გუშინდელი ბოგანო, მცონარეობას დაჩვეული ხალხი, რა კი დღეს მიწის პატრონი და მესაკუთრე შეიქნა, მუშაობას როდი კიდებდა ხელს. ის ამ მიწას იჯარით აძლევდა ვინმეს და თვითონ ამ მიწის ქირით ქალაქებში ცხოვრებას ირჩევდა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამრავლა უმუშევართა რიცხვი და სახელმწიფო იძულებული შეიქნა უფრო და უფრო გაედიდებია უმუშევართა დახმარების საქმე. აქ გაჩნდა ჩვეულება ქალაქებში უმუშევართათვის სანოვაგის ძღევისა და საზოგადო სადილების გართვისა...

პროფესორი ადლერის მოწმობით, ქალაქ რომში კიდევ უფრო მეტათ იჩინა თავი ასეთმა მოვლენამ. მან აქ უფრო მკაცრი ხასიათი მიიღო. მცირე მესაკუთრე რომაელს უმისოთაც არ შეეძლო თავის რჩენა მიწის შემოსაცლით, რადგანაც მისი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი ომიანობას უნდებოდა და მიწას ვინლა დაუმუშავებდა. ესეც არ ყოფილიყო, მცირე მესაკუთრე თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოებით სად შესძლებდა ქიშპობა გაეწია სიცილიიდან შემოტანილი იაფი პურისათვის სულ სხვა იყო დიდი მემამულის მდგომარეობა. ის მონების იაფი შრომით ამუშავებდა თავის მიწებს. მონები კი ერთობ იაფათ ფასობდენ იმ გამუდმებულ ომიანობის ეპოქაში და მათი რჩენაც ხომ მუშა პირუტყვის რჩენაზე უფრო იაფათაც ჯდებოდა. მონა მით უფრო ხელ-საყრელი იყო, რომ მას არც ჯარის კაცათ წასვლის უფლება ქონდა, როგორც თავისუფალ მოქალაქეს, მონას არც ცოლის შერთვისა და გამრავლების უფლება ქონდა. მონის მდგომარეობა ამ მხრითაც უფრო ცუდი იყო მუშა პირუტყვის მდგომარეობაზე: პირუტყვებს გამრავლებისა და სქესობრივი, ინსტინქტის დაკმაყოფილების ნება მაინც აქვთ, მაშინ როცა მონას, ამ ღვთის ხატებათა და სახებათ შექმნილ ადამიანს, ასეთი უფლებაც არა ქონდა. იმ შავ-დროთა კანონის ძალით, რაკი სუსტი ადამიანი უფრო ძლიერი ადამიანის მონათ შეიქნებოდა, ის ყოველ უფლებას მოკლებული იყო და ამ მხრით პირუტყვზე დაბლაც იდგა. მას დაბადებიდან სიკვდილამდე უნდა ეწია პატრონის მძიმე უღელი. მოკვდებოდა—ბატონს არც ეს ენაღვლებოდა: მის ადგილას სხვა მონას იშოვიდა.

ამგვარათ, წვრილი მესაკუთრე, გლეხობა თან და თან პროლეტარდებოდა; ის იძულებული იყო სამუშაოს საძებრათ ქალაქებისთვის მიემართა. მაგრამ ისინი ვერც ქალაქებში შოულობდენ სამუშაოს. რომში, სადაც ამ დროს ხელობამ თან და თან მიიღო სხვილი წარმოების ხასიათი, მიწის მუშა გლეხები რა საქმეს იშოვნიდენ?..

და აი, ეს უმუშევარი და მშიერი ხალხი თან და თან ეცემა ზნეობრივათ. მაგრამ რადგან მას პოლიტიკური უფლება კიდევ შერჩენოდა, მას ამ ერთათ-ერთი თავის ქონებით უნდა ეცხოვრა და მან სინიდისით ვაჭრობა დაიწყო: ვინც კი რამე სასყიდელს მისცემდა, ეს ბოგანო ბრბოც მის სასარგებლოთ ყვიროდა და ეს ხომ იმ დროს ერთობ დიდ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. არც დიდი რამ იყო საჭირო ამ პოლიტიკური უფლებით მოვაჭრე ბრბოს მოსასყიდათ: ისინი მხოლოდ პურსა და გასართობს მოითხოვდენ (panem et circenses) იმ დროს ქვეყნის გამგენიც ბრბოს ასეთ ყვირილს ხშირათ აკმაყოფილებდენ: რომის ცირკი მათ გასართობს არ აკლებდა; ხაზინაც დღიურ ლუკმას მიუგდებდა მათ და ბრბოსაც მეტი რა უნდოდა?

II

საშუალო საუკუნეთა დასაწყისში და ქალაქების გაჩენის ეპოქაში, რა თქმა უნდა, უმუშევრობასაც არ ექნებოდა ალაგი, რადგანაც იმ დროს ყველა, ვისაც კი მუშაობა არ ეზარებოდა და ღონე შესწევდა, საქმეს იშოვიდა. მაგრამ ასეთი ბედნიერი დრო დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. რამდენი დროც გადიოდა, ამ ახალ ქალაქებშიც ხალხი თან და თან მრავლდებოდა და შრომის ბაზარზე მუშათა რიცხვმა თან და თან გადააჭარბა სამუშაოს გადიდებას.

მაშინდელი ცეხობრივი წეს-წყობილება მაინც ერთობ ხელს უწყობდა უმუშევართა რიცხვის გამრავლებას.

ცეხები ყოველი ღონით იცავდენ თავის უფლებებს, ისინი თან და თან ხელს უშლიდენ ახალი წევრების მიღებას ცეხში და ცეხ-გარეთ ათასობით დარჩენილი ხალხი აუტანელ სიღარიბეს განიცდიდა...

ამ მუშათა საკითხის პირველ საფეხურზედვე ჩვენ ვხედავთ იმ სამართლიანი აზრის უტყუარ საბუთებს, რომელიც ხალხს გამოუთქვამს შემდეგ თქმულებაში: მშიერის გაძღომა მხოლოდ მშიერს შეუძლიაო.

როგორც ზემოთაც ვსთქვით, თვით ოსტატები, რომ შეემცირებიათ მოქიშპე ოსტატთა რიცხვი, ყოველ ღონეს ხმარობდენ, რომ ქარგლები ცეხის უფლებიან წევრებათ არ გამხდარიყვენ და ეს უკანასკნელებიც უმეტეს ნაწილათ უმუშევართა რიცხვს აძრავლებდენ. მაგრამ თვითონ ქარგლები, ისეთი ავტორიტეტის მოწმობით, როგორიცა არის ვ. სტედი, ყოველ-კვირეული განსაზღვრული გადასახადით აგროვებდენ ურთიერთ შორის ფულს უმუშევარ ამხანაგების დასახმარებლათ. თვით საქმის პატრონ ოსტატებმა კი გვიან მიბაძეს ქარგლებს და თვითონაც დაიწყეს უმუშევართა დახმარებაში მონაწილეობის მიღება.

მაგრამ ასეთ დახმარებას, რაც უნდა კარგათ და ფართეთ ყოფილიყო მოწყობილი, არ შეეძლო თვალსაჩინოთ შეემსუბუქებია ტანჯვა იმ უმუშევართა, რომელთა რიცხვიც დღითი-დღე იზრდებოდა. მათ მეტი რა გზა ჰქონდათ: ან უნდა შიმშილით დახოცილიყვენ, ან ქურდობა და ყაჩაღობისთვის მიეყოთ ხელი...

უმუშევართა გამრავლებასთან ერთათ დამნაშავეთა რიცხვიც თან და თან მრავლდებოდა. მაგრამ მდიდარ კლასს ამის არ ეშინოდა: იმას ზურგს უმაგრებდა სახელმწიფოს კანონები. მაშინდელმა სახელმწიფომ და მისმა კანონ-მდებლობამ იცოდა განსხვავება მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომელსაც მუშაობა არ შეეძლო და იმაში, რომელსაც მუშაობა შეეძლო. უკანასკნელს სასტიკათ სჯიდა: მისთვის მზათ იყო როზგი, ციხე, განკიცხვის ბოძი. ქურდებსა და დამნაშავეთათვის ხომ მაშინდელმა კანონმა შებრალება არ იცოდა. ის თვით ამრავლებდა უმუშევართა, თვით ქმნიდა მათხოვარებს, ქურდებსა და ავაზაკებს და თვით ებრძოდა და სპობდა მათ სწორეთ იმ მითიურ არსებასავით რომელიც სჭამდა თვით თავის ნაშობ შვილებს.

მართალია, საშუალო საუკუნოებშიაც მოხდებოდა ხოლმე, რომ კაცი თავის სურვილის წინააღმდეგ რჩებოდა უმუშევრათ, მაგრამ ამ გვარი უმუშევრობა არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა საზოგადოებისათვის და არც შეეძლო მას შეექნა „სოციალური კითხვა", დაეყენებინა იმ დროის საზოგადოების წინაშე. წარმოების და ბაზრის პირობები წლითი-წლობით უცვლელათ რჩებოდა, საშუალო საუკუნოების დაწესებულებებიც მკვიდრ ნიადაგზე იყო დამყარებული. ეს გარემოება მრავალ-რიცხოვან საშუალო კლასის არსებობას უზრუნველ-ყოფდა. მშრომელ მასსას კი შეადგენდენ ამქრის ქარგლები, რომლებიც ნათლათ ხედავდენ, რომ მათი არსებობის პირობები უზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნველ „ყოფილი იყო. მაშინ არავის ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ უმუშევრებს შეეძლოთ აჯანყებულიყვენ. იმ დროინდელი მსოფლ-მხედველობა, აზროვნების სიმარტივე, რომელიც სხვა და სხვა ჯურის ღარიბებს ერთი-მეორედან არ არჩევდა, სასტიკი და უწყალო საშვალებები, რომლითაც მაშინ სიცოცხლეს უხმავდენ ყველას, ვისაც კი მუდმივი სამუშაო არ ქონდა, იფარავდა იმ დროინდელ საზოგადოებას,—ამ საფრთხეზე ფიქრით თავი არ შეეწუხებინა. მაშინ ბურჟუაზია «საშიშ კლასებისათვის» წარმოადგენდა ერთგვარ **რეაქციონურ მასსას**, რომელსაც ასულდგმულებდა **ერთი** რწმენა, **ერთი** მსოფლმხედველობა, **ერთი** ინტერესი, წარბშეუხრელათ და განურჩევლათ სა^გებლობდა ყოველგვარი საშვალებით, რომელიც მის განკარგულებაში იყო. მეორე მხრით, იმ დროს სოციალური საფრთხის ან რევოლიუციის არავითარი მოლოდინი არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

(შემდეგი იქნება).

ვ. გულიშვილი

სხვათა შორის

II

როგორც მოგახსენეთ (იხ „მოგზ." № 1), ბ-ნ ჯორჯაძის წინ მეტათ სამძიმო საკითხი დადგა: მან უნდა „გააერთიანოს" ს.-დემოკრატიული და ს.-ფედერალისტური ინტელიგენცია და შემდეგ ორივე გაერთიანებული უნდა მიიყვანოს მის გაურკვეველ დემოკრატიასთან. ბევრი მსხვერპლი შესწირა მან ამ საქმეს, იმდენათ ბევრი, რომ ძველი მშვენიერებიდან აღარაფერი დარჩა არც მას და არც მის მარწმუნებელ მიმდინარეობას. ის სავსებით ჩაეფლა წვრილმან კითხვებში, კულტურულ მოღვაწეობაში, და სანამ მამალი სამჯერ იყივლებდა, ოთხჯერ უარყო თავისი „ქრისტე". თუ წინეთ ს. ფედერალისტები გვარწმუნებდენ, ჩვენ ს.-დემოკრატებზე უკეთესი სოციალისტები ვართ, რადგან მთელი ერის გასოციალისტება გვინდა, თქვენ კი მხოლოდ პროლეტარიატზე ზრუნავთო, დღეს არსებული კონიუნქტურის შესაფერათ მოწყობილ მის აზროვნებას სასაცილოთაც არ ყოფნის სოციალიზმის პროპაგანდაზე ზრუნვა. მართალია აქა-იქ თავის წერილებში იგი იხსენიებს გაკვრით, რომ ეს უარყოფა მხოლოდ დროებითია, მაგრამ ჩვენ ეს აღარ გვჯერა, რადგან არც ერთი სოციალისტი, რაგინდ შეშინებულიც იყოს არსებული პირობებით, არასოდეს არ მოიხსენიებს ისეთი კილოთი თავის მთავარ მიზანს, როგორც ამას ბ-ნი ჯორჯაძე შვრება.

ჩვენ არ გვინდა ამონაწერებით ამ წერილის აპრეღება, რადგან უმისოთაც დიდი ყურადღება მიექცა ბ-ნ ჯორჯაძის წერილებს „ჩვენ გაზეთში", მაგრამ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ ორიოდე ადგილი მისი პირველი წერილიდან, რომელიც დედაბოძია მისი შემდეგი პოლემიკისათვის.

„წინათ საკამათო გვქონდა სოციოლოგიური პრობლემები; ვარკვევდით ისტორიულ პროცესს, განვითარების კანონებს, ვეწინააღმდეგებოდით ერთმანეთს ერთისა და მეორის განმარტებაში. სადავო გვქონდა კაპიტალის კონცენტრაციის საკითხი და ცხარეთ ვიხუბობდით მიწის სოციალიზაციის პრობლემების გარშემო"-ვი, ბრძანებს ბ-ნი ჯორჯაძე და შემდეგ დასძენს: „ახლა დროები იცვალენო".

ამ აფორიზმით ის უნდა გვასწავლოს, რომ ახლა დრო არ არის ასეთ საკითხებზე ლაპარაკის. წინეთ, როცა ასეთ საკითხებზე ლაპარაკობდა ბ-ნი ჯორჯაძე, მას თვალზე ბინდი ქონია გადაფარებული,*) და მხოლოდ დღეს, რევოლიუციის პირველი საფეხურის დამარცხებისა და რეაქციის გაბატონების შემდეგ „აეტუზა თვალებ წინ ცხოვრების ისეთი მხარე, რომელსაც წინათ არ ხედავდა". «წინეთ, ე. ი. მაშინ, როცა სოციალიზაციაზე, კონცეტრაციაზე, ავტონომიაზე და სხვა ასეთებზე კამათობდა—საქართველო სოციოლოგიური და სოციალისტური პრობლემების სარკვევი ლაბორატორია" გონებია. და აი, სწორეთ იმ დროს სოციალისტობდენ ბ-ნი ჯორჯაძე და ძმანი მისნი, როცა ბინდი ქონდათ თვალებზე გადაფარებული! აქედან ^ხოლოდ ერთათ-ერთი დასკვნა შეიძლება გამოიყვანოს კაცმა: სანამ სოციალისტობდენ—შეცდარი ყოფილან, ხოლო დღეს რეაქციის წყალობით თვალი ახელიათ, ჩვენი ცხოვრების ნამდვილი სურათი დაუნახავთ და დარწმუნებულა, რომ ძველ ტემებზე ლაპარაკის დრო აღარ არის; იმათზე შეჩერება მხოლოდ ბინდ გადაფარებულთ შეუძლიათ. ასეთია ბ-ნ ჯორჯაძის აზრთა მიმდინარეობიდან გამოტანილი დასკვნა და სწორეთ ეს გვქონდა სახეში, როცა ვამბობდით, ბ-ნმა ჯორჯაძემ მთელი თავისი „ბაგაჟი" დაკარგა-^ქო. სწორეთ დაკარგულათ, უკუგდებლათ უნდა ჩაითვალოს დღეს სოციალიზმი მისი მხრით, რადგან დღეს მხოლოდ „მეცხვარეებს, მევენახეებსა და მიწათმოქმედებისათვის" მიწის შეძენაზე ზრუნვას აცხადებს თავის დევიზათ!

ასეთი ყოფაქცევა სრული უარყოფაა სოციალიზმისა, რადგან უკანასკნელი არც სეზონის ტანისამოსია, რომ პოლიტიკური კონიუქტურის შეცვლის მიხედვით გაიხადოს და ჩაიცვას კაცმა და არც მარაოა, რომ ხან გაშალო და ხან შეკეცო. სოციალიზმი არის ვრცელი მსოფლმხედველობა და ყოველი სოციალისტი იმისგან გამომდინარე თვალსაზრისით ზომავს ყოველ საზოგადოებრივ მოვლენას. ბ-ნი ჯორჯაძე კი სულ წინააღმდეგ გზას ადგია. ივი პოლიტიკური სეზონის შესაფერ თვალსაზრისს ეძებს და სწორეთ იმაში „იპერს" ს.-დემოკრატებს და ამკობს მათ, რომ **«ისინი ისევ ძველ გზაზე დგანან»**. თვითონ ბ-ნი ჯორჯაძე კი სულ სხვაა, იგი სულ ახალსა და ახალ გზას პოულობს! არა მგონია, ვისმე შეშურდეს მისი ახალი გზები, მაგრამ საქმე ამაში არ არის.

---

*) ის ყველგან მრავლობითი რიცხვით ლაპარაკობს და ისეთ კონსტრუქციებს აწყობს, რომ ყოველივე თავის თავზე ნათქვამს სხვასაც ახვევს და აკისრებს, თუმცა ^ხირებული კია ასეთი აღსარება! აღსარება თავის ცოდვებისა გაგვიგონია, სხვისი კი არა, ნამეტურ მაშინ, როცა ეს არავის მიუნდვია და ტყუილათ იწუხებს თავს ბ-ნი ჯორჯაძე. მას ნება აქვს მხოლოდ მისსა და მისიანების „ბინდზე" ლაპარაკის!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესოა გაგვაგებინებდეს ჩვენი ავტორი, როდის აქეთ შეიქნა დასაძრახი ძველ გზაზე დგომა რომელიმე პოლიტიკური პარტიისათვის?

სოც.-დემოკრატებს რომ ბ-ნ ჯორჯაძესავით დახმარებოდა რეაქცია და თვალთაგან ბინდი გადაეყარა, მაშინ, რასაკვირველია, ისინიც მასთან ახალ გზას დაადგებოდენ, მაგრამ მათ ხომ ვერ გამოიყენეს მისებრ მარჯვეთ ეს „ბედნიერი“ ისტორიული მოვლენა! მაშ, რათ უკვირს, რომ სოც.-დემოკრატები ძველ გზას შერჩენ? ნუთუ გონია, რომ ყველასთვის სავალდებულოა ამინდის გამოცვლასთან მიმართულების გამოცვლაც?

აი, ეს ძველი გზაა იმის საუკეთესო დამამტკიცებელი, რომ ბ. ჯორჯაძე ცდება, როცა ბრძანებს: „სოც.-დემოკრატიასა და ჩვენ შორის არსებული უთანხმოება ზერელეა და პრინციპიალურ ხასიათის უთანხმოებათ არ მიგვაჩნიაო“.

სწორეთ პრინციპიალურ და ღრმა განსხვავებათ მესამჩნევია ჯორჯაძის „ახალი“ გზით სვლა და სოც.-დემოკრატიის „ძველ გზაზე“ შერჩენა. ეს ნიშნავს, რომ ბ. ჯორჯაძემ უარყო სოციალიზმი, სოც. დემოკრატიამ კი ეს ვერ შეძლო, მიუხედავათ დროთა ცვალებადობისა. ნუთუ ეს მით აიხსნება, რომ სოც.-დემოკრატია მოკლებულია მოძრავ გონებას, აზრის სიფხიზლეს და სხვ. ასეთებს, ხოლო ბ. ჯორჯაძე და ძმანი მისნი სავსე არიან ამ ღირსებით? არა, ბატონებო! აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება.—შეგვიძლია თამამათ ვთქვათ, რომ ბ. ჯორჯაძის სოციალიზმი წინეთაც, აი, იმ, დღეს უკვე გაფანტული ბინდის დროსაც, მეტათ სუსტი და დეკორატიული რამ იყო. ამას ამტკიცებდა ყოველთვის ჩვენი სოც.-დემოკრატიული მწერლობაც, მაგრამ ბ.ბ. ს.-ფედერალისტები ყოველთვის ძალზე ჯავრობდენ. ჩვენი მწერლობა ყოველთვის იმას ამტკიცებდა, რომ მათი სოციალიზმი თეორეტიულათ მეცნიერულ საფუძველს მოკლებული, უნიადაგო იყო, გარედან მონაბერი, სადეკორაციო, და სწორეთ ეს იწვევდა სოციალისტურ პრობლემებზე, კაპიტალის კონცეტრაციაზე და სხვა ასეთებზე კამათს. ამ არგუმენტებით მტკიცდება სოც.-დემოკრატიის პოზიციის სიმტკიცე და ს.-ფედერალისტების უნიადაგობა, როგორც სოციალისტებისა.

დღეს მათ თვით აღიარეს თავისი „სოციალისტური გაკოტრება“, თუ შეიძლება ასე ითქვას; გამოააშკარავეს თავისი მიმართულების წვრილ-ბურჟუაზიული სარჩული და მიაკვლიეს მეცხვარეებს და მევენახეებს, ე. ი. წვრილ მესაკუთრეთ და მათი იდეოლოგიის გამომხატველათ უნდათ გახდომა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ნიადაგზე სოც.-დემოკრატია არ გაუწევს და ვერც გაუწევს მათ მოკილეობს. ამიტომ ბ. ჯორჯაძეს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ იგი თავისუფალი იქნება მომავალში სოციალიზაციის და კონცეტრაციის შესახებ კამათისგან, ისე, როგორც ყველა სხვა ბურჟუაზიული პარტიებია, და შეუძლია თავისუფლათ გაერთოს წვრილ საკითხებში.

ნათქვამის შემდეგ მკითხველისათვის საეჭვო უნდა იყოს, რომ ბ. ჯორჯაძემ ვერ მიაღწია მიზანს. იგი ველარ „გააერთიანებს“ ინტელიგენციის იმ ორ ჯგუფს, რომელთა გაერთიანებაც განიზრახა. მაშასადამე, ვერ „გააერთიანებს“ ვერც დემოკრატიას, რადგან ამისთვის პირველ და აუცილებელ პირობათ თვითონაც ინტელიგენციის ჯგუფების გაერთიანებას ხედავდა. ამ შემთხვევაში ის მართალიც იყო ერთი მხრით, თუ გავიხსენებთ, რომ ინტელიგენცია, ნამეტურ ინტელიგენცია იდეიური, ყოველთვის რეალურ ნიადაგზე დგას, ყოველთვის ამა თუ იმ კლასის აზრის და ინტერესების გამომხატველია იგი. მაგრამ მაშინ ისიც უნდა იცოდენ, რომ ასეთი ინტელიგენტური ჯგუფების „გასაერთიანებლათ“ საჭიროა მათი წარმომშობი კლასების ინტერესების ერთიანობა, ანუ, უკეთ ვთქვათ, ერთგვაროობა. რამდენათაც უკანასკნელს გამოძებნით, იმდენათ შესაძლებელი იქნება გაერთიანებაც. მხოლოდ, რადგან კლასობრივ ინტერესთა განსხვავება მეტათ ძლიერია, რადგან იგია გადამწყვეტი იდეოლოგიაში და პოლიტიკაში, ამიტომ სრულიად არ არის შესაძლებელი სხვადასხვა კლასობრივ ნიადაგზე მდგომ იდეოლოგთა ხანგრძლივი შეთანხმება, თუნდ წვრილმან კითხვებშიაც, რადგან კლასობრივი ინტერესები წვრილმანშიაც წაუშლელ კვალს სტოვებს.

ბ. ჯორჯაძისა და მისი მიმდევრების უბედურებაც იმაშია, რომ მათ თავი ანებეს დიდ კითხვებზე ლაპარაკს, შაშობენ მათ ხელის შეხებას და ვერ უთქვამთ პირდაპირ, რომელ ღმერთს უნდათ ემსახურონ. ჩვენთვის ასეთი რყევა საკმარისი საბუთია ვთქვათ, რომ ჩვენთან საერთო არა აქვთ-რა-თქო, რადგან ჩვენ ყოველ მოვლენას კლასობრივი თვალსაზრისით ვზომავთ და ვწონით. ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ არც ერთ კითხვაში არ შეიძლება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა შორის შეთანხმება ანუ, უკეთ ვთქვათ, ერთნაირ აზრზე დგომა. მაგრამ ეს მხოლოდ შემთხვევითი მოვლენა იქნება; ეს მხოლოდ სხვადასხვა გზით მიმავალთა გზა-ჯვარედინზე შეხვედრა იქნება. ასეთია ჩვენი თეორეტიული შეხედულება საზოგადოთ გაერთიანებაზე. ამას არასოდეს არ უარყოფდა ს.-დემოკრატია, მაგრამ მას არასოდეს არ ავიწყდებოდა, რომ ასეთ შემთხვევებშიაც, მხოლოდ ერთათ თავდასხმაა შესაძლებელი და არა ერთი გზით სვლა.

ყოველ შემთხვევაში, ამისთვისაც აუცილებელია გარკვეული პოზიციის დაჭერა, გამორკვევა იმისა, თუ რომელი ინტერესების გამომხატველათ გამოდიხარ საზოგადო ასპარეზზე. ბ. ჯორჯაძეს კი ეს ვერასოდეს ვერ გაურკვევია. წინეთ იგი ქართველ ბურჟუაზიის გასაძლიერებლათ მოღვაწეობას გვიქადაგებდა და მუშებისგანაც კი თხოულობდა ეკონომიური ბრძოლის უარყოფას. დღეს „გაერთიანებული დემოკრატიისათვის“ ზრუნვას თხოულობს. რამდენათ გამოურკვეველია ეს მოთხოვნა, ჩვენ პირველ წერილში დაგანახვეთ. ახლა კი იმედი გვაქვს დაინახავდით რამდენათ შესაძლებელია ამ „გაერთიანებული დემოკრატიისათვის“ საზრუნავათ გაერთიანება, და ვფიქრობთ, მთავარი კითხვა გარკვეულათ უნდა ჩაითვალოს.

წვრილმანემის გარჩევას კი ჩვენ აღარ ვკისრულობთ, რადგან მათ შესახებ უკვე ბევრი ითქვა სხვადასხვა ავტორების მიერ. აქ საჭიროა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ გაერთიანებისთვის არ არის საკმარისი რომელიმე წვრილმან საქმეში საერთო წვრილმანი მიზნის ერთგვაროვნება. ამიტომ, ის კერძო შემთხვევები, რომლთაც ბ. ჯორჯაძე იხსენიებს, სრულებით არ ადასტურებს მის აზრს გაერთიანების შესაძლებლობის შესახებ. აქაც ყოველთვის იჩენს თავს ტაქტიკურიან საშვალებათა განსხვავება. ამიტომ, არც ის მაგალითები გამოადგება ბ. ჯორჯაძეს, სადაც თვით ს.-დემოკრატიული ჯგუფებიც იყოფიან ლროებით რომელიმე წვრილმან კითხვებში. ეს მხოლოდ ს.-დემოკრატიული აზრის სიცხოველის, მისი ზრდა-განვითარების მაჩვენებელია, რომ კიდევ უფრო მტკიცეთ შეკავშირდენ და უფრო გაიადვილონ მიზნის განხორციელება. ასეთი აზრთა სხვადასხვაობა პროგრესიული მოვლენაა ამა თუ იმ მიმართულების ცხოვრებაში და ტყუილათ ფიქრობს ბ. ჯორჯაძე ასეთი შემთხვევების გამოყენებას.

ამით ვათავებთ ბ. ჯორჯაძის წერილზე ლაპარაკს. დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ამ წერილებმა უფრო გაამტკიცა ჩვენში ის რწმენა, რომ ბ. ჯორჯაძე დღესაც ისევე ჰაერში ჩამოკიდებული დარჩება, როგორც წინეთ იყო და სანამ რომელიმე გარკვეულ ფიზიონომიას არ მიიღებს მის თანამოაზრეთა ჯგუფი, არა თუ მთელ დემოკრატიასთან, მის ერთ ნაწილთანაც ვერ გაბამს კავშირს და დარჩება მხოლოდ თავად-აზნაურთა, მეცხვარეთა და მევენახეთა შორის მოხეტიალე ინტელიგენტური ჯგუფის იდეოლოგიის გამომხატველათ.

შავ-ჩყალა.



ქართლის რაინდი.

(დასასრული)*).

„ამა თებერვლის ათ რიცხვში გორის მაზრის უფროსის თანაშემწემ გამოუცხადა ჩვენ რწმუნებულებს, ტინისხიდელ გლეხებს, რომ თანახმათ თქვენი ადმატებულების განკარგულებისა, გლეხები ვალდებული არიან უზღონ თავად გიორგი ამილახვარს ის ზარალი, რომელიც ვითომ ტინისხიდელ გლეხებს მიუყენებიათ მისთვის, რადგან არეულობის დროს ძალით დაუჭერიათ თავადის ადგილები და დღემდე უსსუიდლოთ სარგებლობენ მისი ქონებით. თუ ჩვენ ამ ბრძანებას ნებით არ შევასრულებთ, გლეხებს ძალით გადაახდევინებენ თავად ამილახვარის სასარგებლოთ ფულებს, რა მიზნისთვისაც ნაწილი სამხედრო ძალისა, შემდგარი 30 სალდათისაგან, უკვე ჩაუყენეს სოფელ ტინისხიდში, ხოლო ეგზეკუციაც ჩაყენებულ იქნება ხუთი დღის შემდეგ დღიდან ამ განცხადებისა. ჩვენი აზრით თქვენი განკარგულება არის ნაოფი უბრალო შეცდომისა, რომელიც ალბათ გასწორებულ იქნება, როდესაც მოისმენთ შემდეგ ჩვენს განმარტებას. სოფელ ტინისხიდში მდებარე ადგილები, შეადგენს რა ჩვენს საკუთრებას, უძველეს დროიდან ჩვენ ... მფლობელობაში იმყოფება. მთელ გორის მაზრაში ეს ადგილები ცნობილია თავის ნაყოფიერობით. ამ გარემოებას დიდი ხანია აქცევდენ ყურადღებას ჩვენი მეზობელი თავადები—ამილახვრები, რომელნიც იმ თავითვე ეოველ დონისძიებას ხმარობდენ, რომ ეს ადგილები ჩვენთვის წაერთმიათ. მაგრამ ეოველთვის ჩვენ შორის ატეხილი დავა ჩვენ სასარგებლოთ გადაწყვეტილა. როდესაც თავადები რწმუნდებოდენ, რომ ისინი ძალით ჩვენთან ვერას გახდებოდენ, მაშინ მიმართავდენ ხოლმე მთავრობას, მაგრამ, რადგანაც სიმართლე ჩვენს მხარეზე იყო, მათი სარჩელი ეოველთვის უყურადღებოთ რჩებოდა. ჯერ კიდევ 1881 წელს, ივლისში, გიორგი ამილახვარის ბიძამ, თავადმა კონსტანტინე ამილახვარმა, გორის მომრიგებელ მოსამართლესთან სარჩელი შეიტანა. თავის თხოვნაში ის ამტკიცებდა, რომ ის ადგილები, რომლითაც ტინისხიდელი გლეხები სარგებლობენ, ეკუთვნის მას, კონსტანტინე ამილახვარს, ხოლო გლეხებმა დაიპერეს ის ძალით და არავითარ გადასახადს არ იძლევიან... ამით მას უნდოდა მომრიგებელ მოსამართლის განაჩენი ხელში ჩაეგდო, რომ ეს მისთვის სასურველი დოკუმენტი მის საკუთრების დამამტკიცებელ სიუთათ გამოდგარიეო. ის თხოულობდა გლეხებისაგან 1632 მანათს.

მომრიგებელი მოსამართლე დარწმუნდა მისი სარჩელის უსაფუძვლობაში და ზემოხსენებული თხოვნა უყურადღებოთ დასტოვა. 1882 წელს, 29 ოქტომბერს, მომრიგებელ მოსამართლის განჩინება დაამტკიცა ოლქის სასამართლომაც. ამნაირათ, სადავო ადგილები ისევ ჩვენს ხელში და ჩვენს მფლობელობაში დარჩა.

თავად კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ მის ადგილ-მამულს თ-დი გიორგი ამილახვარი დაეპატრონა, რომელმაც თავის ბიძაზე უფრო ენერგიულათ დაიწყო მოქმედება. პირველ ეოველისა მან გაიჩინა შეიარადებული ჩაჩნები. არა ერთხელ მოუხდენია მას შეიარადებული თავდასხმა გლეხებზე. ზოგჯერ ეს თავდასხმები ადამიანის სიკვდილითაც გათავებულა, მაგრამ გლეხები არ უშინდებოდენ არავერს და მედგრათ იცავდენ თავიანთ სარჩო-საბადებელს... როდესაც თავადი დარწმუნდა, რომ ძალით გლეხებთან ვერას გახდებოდა, მან ასტეხა სასამართლოს წესით დავა, რომელიც ჯერაც არ გათავებულა. მართალია, გიორგი ამილახვარი, როგორც იყო, დადგა კანონიერ გზაზე, მაგრამ უკანონო მოქმედებას მან თავი მაინც ვერ დაანება და მოქმედებდა თავისებურათ, ისევ ისე უკანონოთ, ე. ი, ცდილობდა ჩვენი ადგილების ძალით ხელში ჩაგდებას. 1904 წელს თ-დმა გიორგიმ ერთხელ კიდევ მოიწადინა სადავო ადგილების ხელში ჩაგდება, მაგრამ ადმინისტრაციის საქმეში ჩარევით გლეხების დარღვეული მფლობელობა აღდგენილ იქმნა, რის დასამტკიცებლათ ამ თხოვნასთან ვადგენთ გორის მაზრის უფროსის, კაპიტან მიტკევიჩის დადგენილების კოპიას. ზემო ნათქვამიდან ნათლათ სჩანს, რომ თ-დ გიორგი ამილახვარს არავითარი უფლება არა აქვს მოგვთხოვოს ჩვენ რამე გადასახადი, რადგანაც მისი ადგილებით ჩვენ არასოდეს არ გვისარგებლნია და არც დღეს ვსარგებლობთ... სამოსამართლო ბალატის გადაწყვეტილებაც, რომელიც განსაჩივრებულია ორივე მხრის მიერ სენატში, ჯერ ჩვენ სასარგებლოთ არის გადაწყვეტილი და ამიტომ მთელ ჩვენს განკარგულებაში უნდა იყოს.

*) იხ. „მოგზაური“ № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905—1906 წლების აგრარულ მოძრაობას ჩვენი და თავად გიორგის დამოკიდებულება იოტის ოდნავაც არ შეუცვლია. ამიტომ, მას არავითარი სიფუძველი არა აქვს თავისი უკანონო მოთხოვნილება გლეხების მოძრაობაზე დაამყარონ... მაგრამ ადვილი მისახვედრია, რისთვის სჩადის ამას თავადი. ამით უნდა უფრო სარწმუნოთ და დასაჯერებლათ გახადონ თავისი განცხადება... ადვილათ შესაძლებელია, სხვა გლეხები, რომელნიც სახლობენ თავადის ადგილებზე, არ აძლევენ მას გადასახადს, მაგრამ რა შეაში ვართ აქ ჩვენ, ტინის-ხიდელი გლეხები, რომელთაც მისი ადგილები არასოდეს არა გვჭერია? ეოველ შემთხვევაში გიორგი ამილახვარს არავითარი უფლება არა აქვს მოითხოვს რამე ჩვენგან. ეს უნდა სტოდნოდა უფალ მაზრის უფროსის თანაშემწეს, რომელიც, იმის მაგივრათ, რომ ჩვენთვის დახმარება გაეწია, 10 თებერვალს გიორგი ამილახვართან ერთათ სოფელ ტინისხიდში მობრძანდა და გამოგვიცხადა, რომ, ჩვენ, გლეხები, ვალდებული ვართ შევასრულოთ ეოველივე მოთხოვნილება თავად გიორგი ამილახვარისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ეგზეკუციით დაგვემუქრა. და რომ უფრო ეგრძნობინებია ჩვენთვის ამ მუქარის ძალა და მნიშვნელობა, მან დაატუსადა გლეხებისგან ამორჩეული 5 კაცი, რომელთაც მაზრის უფროსის თანაშემწე არ ანთავისუფლების მანამ, სანამ ჩვენ არ მივსცემთ გიორგი ამილახვარს ხელწერილს შესახებ იმისა, რომ ჩვენ, გლეხები, ვალდებული ვართ გადაუხადოთ თავად გიორგის ის ფულები, რომელიც ვითომ ერგება ჩვენგან მას, როგორც მემამულეს, მის ადგილებზე მცხოვრებ და მომუშავე გლეხებისგან... ბატონი მაზრის უფროსის თანაშემწე ამას არ კმარობს... იმის მაგივრათ, რომ დაიცვას ჩვენი ფაქტიური მფლობელობა, როგორც ამას კანონი ავალებს ბატონ მაზრის უფროსს, ის ნებას აძლევს გიორგი ამილახვარს, დააქციოს და დასწვას ჩვენი დობეები, ასჩეხოს ხეხილები... ეველა ამას თავის საკუთარი თვალით უყურებს ბატონი მაზრის უფროსის თანაშემწე და საჭიროთ არ სთვლის ამ უსამართლობას ბოლო მოუღოს... ჩვენ სამართლიან თხოვნაზე—დაგვიფარონ გიორგი ამილახვარის უკანონო მოქმედებისგან, უფალი მაზრის უფროსის თანაშემწე ჰასუხს გვაძლევს ხუთი კაცის დაჭერით და, გარდა ამისა, გვემუქრება ეგზეკუციით... რათ ხდება ეს ასე? ვის რა შეეცოდეთ, რა დავაშავეთ? ნუ თუ ჩვენ არ შეგვიძლია მივმართოთ მთავრობას თავის დასაცავათ იმ დროს, როცა ჩვენი უფლება აშკარათ ფეხ-ქვეშ ითელება!?

მოგახსენებთ რა ეველა ამას თქვენს ადმატებულებას, უმორჩილესათ გთხოვთ: უბრძანოთ გორის მაზრის უფროსს დაგვიფარონ გიორგი ამილახვარის ზემოხსენებული უკანონო მოქმედებისაგან. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი თხოვნა შეწყნარებულ იქმნება, ჩვენ გვწამს, რომ თქვენი ადმატებულება მოსპობს იმ უსამართლობას, რომელსაც სჩადის ჩვენ შესახებ თავადი გიორგი ამილახვარი, რომლის მოქმედებას ბატონი მაზრის უფროსი თავადი ვახვახოვი არავითარ ეურადღებას არ აქცევს, რითაც, ჩვენი აზრით, თვით სჩადის უსამართლობას"...

ეს თხოვნა გუბერნატორმა მიიღო, მაგრამ რა განკარგულება მოახდინა ამის შესახებ—არ ვიცით. ვიცით მხოლოდ ის, რომ თავადი გიორგი ამილახვარი ისევ ისე დათარეშობს სოფლებში, მას ისევ ისე თან ახლავან შეიარაღებული ჩაჩნები, რომელნიც ისე თავგამოდებით იცავენ თავადის ინტერესებს.

ზემოთაც ვთქვით და ეხლაც მოგახსენებთ, რომ თავად ამილახვრის ბერობენება ჩვენ სრულებითაც არ გვაინტერესებს. ასზე მეტი მხლებელები რომ უყვდეს თავადს, ჩვენ კრინტსაც არ დავძრავდით... მაგრამ როდესაც გიორგი ამილახვარი და მისი ჩაჩნები ქართლისა და იმერეთის გლეხებისთვის ღვთის რისხვას წარმოადგენენ, როდესაც ეს „დიდებული" თავადი დადის სოფელ-სოფელ სრულებით უკანტროლოთ და ტეავს აძრობს ისედაც გაძვალ-ტყავებულ გლეხებს, ჩვენ ვალდებულათ ჩაკთვალეთ ჩვენი თავი ზემო სათქვამში გამოგვემეადვენებია, და დაგვანახვებია მკითხველისათვის მისი ნამდვილი სახე.

ლაშურელი.

ჩემი სატრფო

—

მეცა მყავს სატრფო!
მაგრამ იგი არა გავს სხვისას!
მოსხივ-ცისკარე მნათობია
მისი სახელი;
მხოლოდ მას ვანდობ
გულის ვარამს, ნაშობს ტანჯვისა'
იგია ჩემი სათაყვანო
და სალოცველი!

—

ის სიმართლეა,
სინათლეა,
ეთერი ცისა,
ქვეყნათ არსებულ უმართლობის,
სიბნელის მტერი!
მას ვერ მიაგნებს
მავნე თვალი ბოროტ კაცისა,
უხილავია ულირსთათვის,
პირ-მშვენიერი!

—

თუმც ფერ-მკრთალია
მისი სახე ტანჯვით ალსავსე,
არც არის იგი
ნაზი გულის, ნაზი გრძნობისა,
მაგრამ მასავით
არვის უყვარს ხალხი მაშვრალი...
მკერდში უნთია
უქრობელი ცეცხლი ტრფობისა!

—

თუმცა მრავალჯერ დაცემულა,
როს დაკოდილა,
როს აღუმართავს, აუშლია
. . . . . ომისა,
მაგრამ ვერც ერთხელ
სამუდამოთ ვერ უძლევიათ,
თავს დასტეხიათ ხშირათ მისი
რისხვა წყრომისა!

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ქალია, ქალი ტურფა,
თავისუფლება,
არა ლაჩარი, — გულ-მედგარი,
სულით ძლიერი!
მშვენიერია ვით მაისის
პირველი დილა,
და სიძლიერით ღმერთთა სწორი,
მკერდ-განიერი!..

—

იგი, ღვთიური,
ცეცხლის მფრქვეველ ელვარ თვალებით,
შურისძიებით აღგზნებული,
მედგარი მკლავ თ,
იბრძვის!.. ცხოვრების ზვიად ღელვას
არ უშინდება,
სურს, რომ დაიპყროს
მთლათ მსოფლიო ვრძნეული ნავით!.

—

...და მოვა ის დროც,
დრო ბრწყინვალე, დროი დიადი,
დადგება ჟამი „შავ მონათა“
დღესასწაულის,
წყვდიადით მოცულ ცის ჰორიზონტს
დღის განთიადი,
წითლად შეღებავს!..
ის იქნება ძველ ქალწულის!..

გ. ქუჩიშვილი

შენ კი...

გაზაფხულია. მთელი ბუნება
ტურფათა ყვავილ და იფურჩქნება.
განთიადისა სხივთა კონები
კაშკაშ-ციალით გულს ეჭარგება.
საკინძ გადახსნილ ზურმუხტ მდელოზე
მთის ნაკადული გადმოჩხრიალებს
და მარგალიტის სპეკალ შხეფებით
პირს ბანს თავ დახრილ ნახსა ყვავილებს.
გრძნობის მეუფე მგოსან ბულბული
მწყობრისა ხმებით ჩანგს აწკრიალებს,
კუდ-მაკრატელა ანცი მერცხალი
ლაჟვარდსა ცაში დაქრის, ფრთხიალებს.
შენ კი... შენ, ტანჯვა წყალების შვილო,
ესე სურათი დარდს ვერ გიფონებს
და საშინელი შავ ფიქრები
წინ გიყენებენ ცრემლების ფონებს.

—

ფრთებ მომართული ცელქი ნიავი
ქოჩორს უვარცხნის ზურმუხტსა ველსა
და ტუჩ გაპობილ ზამბახ-შროშანას,
ვით გულის სატრფოს, ეხვევა ყელსა.
მუქ ფოთლებიან ირის ყვავილზე
ბრჭყვიალებს ცისა ობოლი ცვარი
და წრფელ ციმციმით ზედ დაქოთქოთებს
გარიჟრაჟისა სხივთა ისარი.
ყოველი არსი ამა სურათით
სტკბება, ნეტარობს გრძნობათ ქცეული...
ქვეყნათ სამოთხის ნეტარებაა
ბედნიერთათვის გადმონერგული.
შენ კი... შენ, ძმაო, დუშმნის ისრისგან
მოკლული გული კვლავ გაქვს მწუხარე...
ტანჯვით მიბნედილ თვალებიდანა
გადმოგჩუხჩუხებს ცრემლი მდუღარე.

დ. ოურდოსპირელი.

ეკონომიური ცხოვრების განვითარება.

III.

კაცობრიობა თავისი ყმაწვილობის ხანაში, ხანგრძლივ ეპოქების განმავლობაში, როგორც ვამბობდით, მეტათ არა მტკიცე ცხოვრებას, არა მყუდრო არსებობას აწარმოებდა; იგი მთელი თავისი მდგომარეობით სავსებით დამოკიდებული იყო გარეშე ბუნებიდან. და აი, ასეთი დამოკიდებულება ადამიანისა ბუნებიდან ერთათ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა პრიმიტიული კაცობრიობისა. პირიქით, კულტურულ მდგომარეობის დამახასიათებელ თვისებას ადამიანის მიერ ბუნების დამორჩილება შეადგენს. უკანასკნელ ხანაში ადამიანის სამეფო ბატონობს ბუნების სამეფოზე, ადამიანის ძალა და უნარი იმორჩილებს გარეშე ბუნების ძალებს, შრომით და გარჯით იმკის დედამიწის სიმდიდრეს. ამ თვალ-საზრისით რომ განვიხილოთ მთელი კაცობრიობის განვითარება და ადამიანის წინსვლა, აშკარათ დავინახავთ, რომ იგი გამოიხატება ადამიანის ბუნების წინააღმდეგ ბრძოლაში, ბუნების დაპყრობაში. ამისთვის კაცობრიობის ევოლიუცია, ე. ი. პირველ-ყოფილ საფეხურიდან უმაღლესისაკენ განვითარება, თანასწორია მისი (კაცობრიობის) ბუნების მონობიდან განთავისუფლების და მასზე შეუზღუდველათ გაბატონებისა.

პრიმიტიული ადამიანი, როგორც ისტორიკოს-ეტნოგრაფები მოგვითხრობენ, არ ყოფილა ხელოვნურ საწარმოვო ანუ როგორც ბურჟუაზიული ეკონომისტები იტყვიან ხელმე, საშველ-დამხმარე საშვალებებით შეიარაღებული; როგორც აზროვნებით და გრძნობით განუვითარებელი არსება, საზრდოს მოსაპოებლათ არ ხმარობდა იარაღს, საწარმოვო საგნებს, ვინაიდან მას ამაზე წარმოდგენაც კი არ ქონია. უმთავრესათ ცხოველისებურ თავის დაცვის, ფიზიკურ არსებობის შენარჩუნების ინსტიქტით იყო აღჭურვილი; იგი თავის საზრდოს მოპოების მეთოდით, მოთხოვნილების დაკმაყოფილებით, მოთხოვნილების თვისებებით უფრო ცხოველს წააგავდა, ვიდრე თანამედროვე კულტურულ ადამიანს. როგორც ცხოველი, პირველ-ყოფილი ადამიანი სხეულის ბუნებრივ ნაწილებით (ასოებით) იყო შეიარაღებული; ხელი, ფეხი, კბილები და ბრჩხილები ერთათ-ერთი იარაღი იყო, რომლის საშუალებითაც იგი იგერიებდა მოსეულ მტერს,

ნადირს. მას არ ჰქონია სხვა იარაღი, სხვა ბრძოლის საშუალებანი; ფიზიკური ძალა და სიმარდე-მოქნილობა შეადგენდა მის დეფენსიურ (მოსაგერებელ) საშუალებას. თუ ამ იარაღით ვერას ხდებოდა, იგი იძულებული იყო იმ დროის ხშირსა და გაუვალ ტყეში ხის ფულუროებში, კლდის გამოქვაბულებში დამალულიყო, თავი შეეფარებინა და ამ გზით უზრუნველ-ეყო თავისი ფიზიკური არსებობა გარეულ მხეცების თავდასხმისაგან. ასე რომ, ადამიანის არსებობა სხეულის ასოებით განისაზღვრებოდა. მხოლოდ შემდეგში თანდათანობით ადამიანი სწავლობს ბუნების ამა თუ იმ საგნების იარაღებათ ხმარებას; ქვა, ძვალი, რქა, ზოგიერთა გარეულ ნადირის კბილები, ზღვის ლოკოკინის ბაქნები, რომლებიც მზათ მოიპოვებოდენ, ადამიანის ძლიერ იარაღათ გადაიქცენ, ძლიერ ბრძოლის საშუალებათ შეიქნენ. საუკეთესო და უძლიერეს იარაღათ, რასაკვირველია ქვა და მწვეტიანი ჯოხი ითვლებოდა; პირველის საშუალებით, შედარებით ადვილათ კლავდა გარეულ ცხოველს, ხოლო მეორეთი ადვილათ სთხრიდა ძირკვიან მცენარეულობას. დიდი ხნის განმავლობაში ამ იარაღებს წუთიერი იარაღების ხასიათი ქონდა. იღებდა და ხმარობდა რა სახითაც და ფორმითაც იგი ბუნებრივათ მოიპოვებოდა. მისი გამომუშავება, ხელოვნურათ გაუკეთესება მას არ სცოდნია, ამაზე არ უმეცდინია. როგორც კი ესა თუ ის იარაღი დააკმაყოფილებდა პრიმიტიულ ადამიანის მოთხოვნილებას, შეასრულებდა თავის დანიშნულებას, იგი მას უმალვე განზე ისროდა, სრულიათ აგდებდა და ეს იარაღები, იყო ქვა, ჯოხი თუ ძვალი, კარგავდა საწარმოვო იარაღის ხასიათს. ან რა საჭირო იყო ასეთ იარაღების გამუდმებით ზეთ ტარება და საკუთრებასავით შენახვა, როცა პირველ-ყოფილი ადამიანი მას ყოველ ფეხის გადადგმაზე უშრომლათ, უხვათ პოულობდა?! მთელმა საუკუნოებმა განვლო, სანამ პირველყოფილი ადამიანი კობლიან ჯოხის და ჯირითის გამოგონებამდე მივიდოდა.

სწორეთ ასეთ უვარგის და ტეხნიკურათ გამოუსადეგ იარაღებით აღჭურვილი ადამიანი სრულიათ დამოკიდებული იყო ბუნებრივ ორგანოებიდან, და ვიმეორებთ, ბუნებიდან დამოკიდებულ არსებობას აწარმოებდა. ის პანტოფაგიური (ყველაფრის მჭამელი) ცხოველი იყო, სჭამდა რასაც კი მოინელებდა მისი ცხოველურ-ადამიანური კუჭი. ყველა ის, რაც კი შხამიან ნივთიერებას არ შეიცავდა, შეადგენდა მის საუკეთესო საზრდოს, გემოიან სანოვაგეს. ამასთან ის ყოველივე უშ და მოუხარშავს შეექცეოდა. მთელი მისი მოქმედება არ იყო წარმოებითი, იგი ერაფერს არ ქმნიდა, მიწიდან თავის შრომით არაფერი არ ამოქონდა, აგროებდა, რასაც ბუნება იძლეოდა. ფაუნა (ცხოველები) და ფლორა (მცენარეულობა) ყველა მის მუცლის საკვებს შეადგენდა. ასეთმა პირობებმა კი წარმოშობა და შეამუშავა პირველ-ყოფილ ველურ ადამიანში ერთ-გვარი უზრუნველობა მომავლისადმი; იგი მუდამ წუთიერზე ფიქრობდა, აწმყო აინტერესებდა, მომავალზე ფიქრი, მომავლისთვის მუშაობა მის დღის წესრიგში არ ეწერა, ბევრს არა ზრუნავდა. ფრიტჩი სამხრეთ აფრიკის ველურ მცხოვრებ ხალხ. ბუშ-ბენებს უწოდებს „წუთიერ შთაბეჭდილების ბედნიერ ბავშვებს". ასეთივე შთაბეჭდილება მ უღიათ სხვა ველურ ხალხებიდანაც.

ამისათვის ასეთ ველურ ხალხების მუშაობა ბევრათ განსხვავდება თანამდროვე შრომიდან. პრიმიტიული ადამიანის შრომას არ აქვს თანამედროვე ეკონომიურ შრომის მნიშვნელობა, იგი თავის შრომის დროს არ ხელმძღვანელობდა სასტიკი ეკონომიური პრინციპით, ეკონომიური მეცნიერების განმარტებით. მუსკულის, ნერვის და ტვინის ენერგიის დახარჯვას შრომა მხოლოდ მაშინ ეწოდება, როცა იგი ეკონომიურ მოსაზრებით, ეკონომიური მიზნით არის გამოწვეული, როცა ნაკლები ენერგიის დახარჯვით მეტი შრომის ნაყოფი მოიმკის. ადამიანის ორგანოების ამოქმედება, რომლებსაც სეირნობის და გართობის ხასიათი აქვს, სეირნობა-გართობაზე გადადის, არ შეიძლება შრომათ ჩაითვალოს. მაგ., ის მოსწავლე, რომელიც დილიდან-საღამომდე დახეტიალობს, ქალებთან სეირნობაში ატარებს დროს თავის პირად სიამოვნებისთვის, იმის სიარული მუშაობათ არ ჩაითვლება, თუნდაც რომ მან ამ სიარულის დროს მუსკულების და ნერვების აუარებელი ენერგია დახარჯოს. მხოლოდ ისეთ მოსიარულის ენერგიის დახარჯვა, რომელსაც ეკონომიური ფუნქციის შესრულება დაუსახავს, რასაკვირველია, შრომათ იწოდება. მართალია, წერილების დამტარებელიც თითქმის მთელი დღე დადის, მთელი დღე ამა თუ იმ ქუჩის ნაწილს რამდენჯერმე უვლის, მაგრამ მისი სიარული ერთობ განსხვავდება ჩვენ მიერ დასახელებულ მოწაფის უთავ-ბოლო, უმიზნო სიარულისგან, ვინაიდან, ვიმეორებთ, წერილების დამტარებელი მოხელე საზოგადოებისთვის საჭირო და სასარგებლო საქმეს აკეთებს, ეკონომიურ ფუნქციას ასრულებს, მოსწავლე კი არა. ერთი სიტყვით, ყოველი დახარჯული ენერგია მხოლოდ მაშინ ჩაითვლება შრომათ, როცა იგი ეკონომიურ მიზნისკენ არის მიმართული, როცა იგი ეკონომიურ პრინციპზე არის აშენებული. ასეთია შრომის თანამედროვე განმარტება.

პრიმიტიული ხალხების შრომას კი არ ქონდა, აკლდა თანამედროვე შრომის ხასიათი, იგი ერთნაირათ თამაშობას წაგავდა, თამაშობას ემსგავსებოდა.

რაც ქვევით დავიწყებთ, ადამიანის განვითარების პირველ საფეხურებს მივუახლოვდებით, იმდენათ აშკარათ დავინახავთ, რომ ველურ ადამიანს არა აქვს ეკონომიური წარმოდგენა, არ შეუგნია ეკონომიური პრინციპი; მას არ შეუძლია საქმის აწონ-დაწონა, სარგებლობის და ზარალის გათვალწინება, გამიზნულათ მოქმედება. პრიმიტიული ადამიანი ჩვეულებრივ უპლანოთ, წინათვე მოუსაზრებლათ, უსისტემოთ, უორგანიზაციოთ, უმეთოდოთ მუშაობს. ეკონომიური მოფრთხილების პრინციპით იგი არ ხელმძღვანელობდა, მოთხოვნილების პატარა შრომით მეტ ნაშრომის მოხვეჭა მისთვის არ არსებობდა, ამ მცნებამდე არ მისულიყო. იგი ყოველ შემთხვევაში მთელ თავის საქმეს ეკონომიურათ არ აწარმოებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უანგარიშოთ მოქმედებდა, მის შრომაში არ მოსჩანდა წინასწარი გამოცდილება.

როგორც ადამიანის პროტოპლაზმში მთელი მისი სხეულის ნაწილები პაწიათ ჩასახულია, ისე პირველ-ყოფილ ადამიანის თამაშობაში ემბრიოლოგიურათ ჩასახული იყო ხელოვნება, წარმოება და ტეხნიკა. თამაშობა პირველ-ყოფილ ადამიანის უბრალო და ბუნებრივი გამოხატულებაა მის ფსიხოლოგიურ მდგომარეობისა, ამით ხასიათდება მისი ყმაწვილობის ხანა. თამაშობის შინაარსს უმთავრესათ მიბაძვა შეადგენს, მიბაძვა მისი პირველყოფილი დასაწყისია. ცხოველების მოძრაობის და ცხოველების ხმაურობის მიბაძვამ წარმოშობა პირველი ფორმა ცეკვისა და რითმიული თამაშობის ხელოვნება. ფრინველების გალობის მიბაძვამ დაბადა, დასაწყისი დაუდო ადამიანის სიმღერა-ლექსაობას. ხელოსნობა და ხელოვნება პირველათ ხატავდა მცენარეულობისა და ცხოველების ფორმებს; მათ გაკეთება-გამოხატვის ნიადაგზე ვანვითარდა ერთიც და მეორეც. თვით ტანსაცმელის, ჭრაკერვის განვითარებაც რომ ისტორიულათ განვიხილოთ, პირველათ მისი საჭიროება, როგორც ბიხერი გვეუბნება, მორთვა-მოკაზმვის სურვილმა წარმოშობა. მისი დანიშნულება არ ყოფილა, რომ ადამიანის სხეული კლიმატიურ მოვლენებიდან, სიცივე-სიცხედან დაეფარა. ყოველ შემთხვევაში თამამათ შეიძლება ითქვას, რომ პირველ-ყოფილ ადამიანის მისწრაფება მორთვისადმი უფრო ხნიერია, ვიდრე ტანისამოსისადმი. სწორეთ ასეთ პრიმიტიულ ფორმიდან წარმოიშვა და განვითარდა სხვა და სხვა ტიპის ხელოსნობა, რომელიც თავის მხრით შედგება შრომის განაწილებისა. თამაშობა ხნიერია შრომაზე, ხელოვნება კი — მოსახმარ (ეკონომიურ) წარმოებაზე.

როგორც მოკლე განხილვიდან დავინახეთ, ადამიანის განვითარების დაბალ საფეხურზე შრომას არ ქონია თანამედროვე ეკონომიური ხასიათი, მას თავის ცხოვრებაში არ შეუტანია ეკონომიური პრინციპი. მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რომელიც ადამიანის ეკონომიურ მოქმედების მთავარი ფაქტორია, სწარმოებს მეტათ მარტივათ, ინსტიქტიურათ. შეიძლება იმ დროს პრიმიტიული ადამიანი თანამედროვე კულტურულ ადამიანზე ნაკლებს არ შრომობდა, მაგრამ მისი შრომა, მისი მუშაობა მოკლებული იყო გამიზნულ-გაპლანულ, სისტემატიურ შრომის ხასიათს, მას ეკონომიურ მუშაობაზე არ ქონდა წარმოდგენა. მხოლოდ განვითარების იმ საფეხურებზე, როცა ადამიანი იწყებს საზოგადოებრივ ცხოვრებას, როცა მისი ცხოვრება იღებს ამა თუ იმ საზოგადოებრივ ფორმას, ის აწარმოებს გამიზნულ, ეკონომიურ ცხოვრებას. აქნობამდე კი თითონ ბუნება აძლევდა ადამიანს საჭმელ-სასმელს და დასამუშაებელ მასალას. ამიტომ, კარლ მარქსი ეკონომიურ განვითარებას, წარმოებას განიხილავდა, როგორც ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულებას.

როგორია შემდეგი საფეხური კაცობრიობის ეკონომიური ცხოვრების განვითარებისა, ამას მომავალ წერილში განვიხილავთ.

შვარცი.

სოციალიზმი და ანარქიზმი.*)

(ბროშ. ნ. რაიხესბერგისა)

თარგმანი.

VI

წინააღმდეგ ასეთი შეხედულებისა, ანარქიზმი, როგორც უკიდურესი ინდივიდუალობის მიმდევარი, უარყოფს ყოველგვარ **ბუნებრივ** ფაქტორების არსებობას, ისეთი ფაქტორებისა, რომელნიც აკავშირებენ გარეგან ბუნებასა და ადამიანებს. ადამიანს გაჩენისათანავე თან დაყვება ხოლმე, მათი აზრით, განსაზღვრული თვისებები და განსხვავებელი ხასიათი, თავისი ძალღონით ის იმუშავებს თავის პიროვნებას; ამასთანავე, ყოველივე, რაც ამ ადამიანსა და ბუნებას შორის არის ჩამდგარი, მისი შემავიწროვებელია, მაგრამ იგი თვით ამ ბუნებასაც ებრძვის, რომ მისი მორჩილებისგანაც გაინთავისუფლოს თავი.

ანარქისტების აზრით, ადამიანი მხოლოდ მაშინ მიაღწევს უმაღლესი განვითარების საფეხურს, როცა იგი სრულიად თავისუფალია ყოველგვარი გარეგანი გავლენისაგან; როცა იგი მარტო თითონ არის ერთათ-ერთი წყარო (მიზეზი) თავისი მოქმედებისა, ერთი სიტყვით, როცა ის თითონ არის თავისი თავის ღმერთი, რომელსაც შეუძლია თაყვანი სცეს.

მისი სტიქია არის განსაზღვრული თავისუფლება, ხოლოდ აქ შეუძლია მას თავისი არსების ბუნებრივი კანონების გამოჩენა. ადამიანთა საზოგადოება, როგორც მთელი რამ ერთეული, არის მხოლოდ ოცნების ნაყოფი, რომელიც ბორკავს პიროვნების სულის აღმაფრენას. ის, რასაც ადამიანთა საზოგადოებას ეძახიან, არის მხოლოდ ჯამი (კრებული) კერძო პიროვნებათა, რომელთაც შემთხვევით ერთ ადგილას, ერთ მხარეში მოუყრიათ თავი. ამ შემთხვევითი კრებულს ცალკე ადამიანისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ იგი კერძო პიროვნების თავისუფლების შემბოჭველ ფაქტორათ არ გადაიქცა.

საზოგადოთ კი კერძო პიროვნება მხოლოდ მაშინ ღებულობს მხედველობაში საზოგადოების არსებობას, როცა მასთან ბრძოლა უხდება.

VII

ანარქიზმისა და სოციალიზმის ასეთი განსხვავებული შეხედულებიდან გამომდინარეობს ამ სისტემათა პირდაპირი წინააღმდეგობა საზოგადოებრივ იდეალებში; აგრეთვე სხვა და სხვა გვარი დაფასება ისტორიაში მომქმედ ფაქტორებისა, და დასასრულ, აქედანვე გამომდინარეობს მათ მიერ მიზნის მისაღწევათ არჩეულ საშვალებათა სხვა და სხვაობაც.

რაც შეეხება აღნიშნულ სისტემათა საზოგადოებრივ იდეალებს, ამის გასარკვევათ საჭიროა უწინარეს ყოვლისა გვახსოვდეს, რომ სოციალიზმი და ანარქიზმი ამ იდეალების შემუშავებაში, თანახმათ თავიანთი განსხვავებული ხასიათისა, ხელმძღვანელობენ კაცობრიობის ისტორიის სხვა და სხვა გვარი შეგნებით: ამ სისტემათა შეხედულებას ადამიანის და საზოგადოების შორის არსებულ განწყობილების შესახებ, რასაკვირველია, თავისი გავლე-

*) იხ. „მოგზ." № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა უნდა მოეხდინა ისტორიაში პიროვნების მნიშვნელობისა და როლის აზრზედაც.

VIII

სოციალიზმის აზრით ყოველგვარ ისტორიულ განვითარების დედაბოძს წარმოადგენს საზოგადოების სამეურნეო ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებანი.

მეურნეობაში არსებული წარმოების წესი და ნაშრომის განაწილება განსაზღვრავს ხოლმე საზოგადოების ხასიათს, მის წყობილებას, ფორმასა და დაწესებულებათ.

პოლიტიკა, სამართალი, ზნე-ჩვეულება, — ერთი სიტყვით ამა თუ იმ საზოგადოების ცხოვრების მთელი წყობილება და აზროვნება, ერთიანათ დამოკიდებულია ამავე საზოგადოების ეკონომიური ცხოვრებისაგან. წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლის წესი წარმოშობს თავის შესაფერ საზოგადოებრივ წესრიგს, რომელიც მხოლოთ იმ დროამდე გასძლებს, სანამ არსებობს მისი წარმოშობი წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლის წესი.

ყოველგვარი პროგრესი (წინსვლა) საზოგადოებისა გამოწვეულია წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლის წესის პროგრესით.

სოციალიზმის თეორიით ყველა დღემდე განვითარებული წარმოებისა და საქონლის გაცვლა-გამოცვლის წესი ისეთი იყო, რომ ადამიანთა საზოგადოება იყოფოდა სხვა და სხვა ჯგუფათ, ანუ კლასებათ, რომელთა ეკონომიური ინტერესები სრულიად განსხვავებული იყო, ხოლო უფრო ხშირათ ერთი-მეორის წინააღმდეგი. ამ გარემოებამ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ საზოგადოების სხვა და სხვა კლასთა შორის ასტყდა ბრძოლა; ეს ბრძოლა თანდათან მწვავდება, მახედვათ იმისა, თუ რამდენათ ვრცელდება ამ კლასებში თავისი ინტერესების კლასობრივი შეგნება. ამ ნიადაგზე ატეხილი ბრძოლა გადავიდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, რადგან, როგორც ზევით იყო მოხსენებული, ცხოვრების ყველა დარგია და მის ეკონომიურ ფაქტორს შორის მეტათ მჭიდრო კავშირია.

საზოგადოების მთელი ისტორია დღემდე წარმოადგენს მხოლოდ ამ კლასობრივი ბრძოლის ისტორიას.

ერთ-ერთ საუკეთესო ბარალს ამ ბრძოლაში წარმოადგენს პოლიტიკური ულელება (ხელმწიფება). ვინც ამ იარაღს ჩაგდებდა ხელში, გამარჯვებაც მისი იყო და მართლაც, ყოველთვის ეკონომიურათ უფრო ძლიერ კლასს ქონდა მითვისებული ეს უფლება და მით საშვალება ეძლეოდა, როგორც უნდოდა, ისე მოხერხებულათ დაემონავებია და შეუბრალებლათ ეყვლიფა ხოლმე ეკონომიურათ უფრო სუსტი კლასები.

სახელმწიფო სახით პოლიტიკურმა უფლებამ მოიპოვა თავისი გარეგანი ორგანიზაცია, ამიტომ სახელმწიფო ყოველთვის ის ფაქტორების გაბატონებულებაში იყო, რომელნიც ისტორიული განვითარების ძალით მოწოდებული იყო გადამწყვეტი როლი შეესრულებია.

IX

სოციალიზმის შეხედულებით მიმდინარე ისტორიულ ხანაში საზოგადოებრივი ცხოვრება კაპიტალისტური წარმოების ყურ მოჭრილი მონაა და ყველაფერსაც ამ მისი ბეჭედი აზის.

წარმოების ამ წესისათვის აუცილებლათ საჭიროა ორი პირობა: საერთაშორისო ბაზარი და უმწვერვალესი განვითარება ტექნიკისა და სოციალური შრომის განაწილება. მაგრამ უმთავრეს მის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს კაპიტალი, როგორც მისი სახელწოდებიდანა სჩანს ეს კაპიტალი დაგროვილია განსაკუთრებული კლასის ხელში, რომელსაც მწარმოებლები ეწოდება; ესენი ატრიალებენ დღეს მთელი სამეურნეო პროცესის ჩარხს, წინანდელ ცხოვრებაში კი მათ არავითარი როლი არა ჰქონდათ.

ახლა სწორეთ ეს მწარმოებელთა კლასი აძლევს მიმართულებას წარმოებას და მას უჭირავს ხელში ნაწარმოები, გაცვლა-გამოცვლისა და მისი განაწილების საქმე.

ასეთი მდგომარეობის თანახმათ დღევანდელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზაციაც მწარმოებელთა კლასის ინტერესების გავლენას განიცდის. ამიტომ შეიცვალა, ბაგალითათ, წინანდელი ეპოქის (დროის) საკუთრების ფორმა თანახმათ მათი ინტერესებისა, მიისპო საკუთრების ყოველგვარი შეზღუდვა, რომელსაც კი შეეძლო ხელი შეეშალა მრეწველობის (სულის) განვითარებისათვის. შრომა და შრომის ქირა განთავისუფლდა ყოველგვარი ოპეკისაგან. მოისპო ზედამხედველობა სამეურნეო ერთეულებზე და ჯგუფზე მათ შორის არსებულ განწყობილების შესახებ, დაწესდა ხელშეკრულობის თავისუფლება და სხვა.

საითაც არ უნდა მივიხედოთ, ყველგან დავინახავთ ცხოვრების შეცვლილ პირობებს და ფორმებს. ყველა ამათ უმეტეს ნაწილათ მწარმოებელთა კლასიური ინტერესების ბეჭედი აზის, მათდა სასამსახურათ არის ისინი მოწოდებული, რადგან კაპიტალისტურმა წარმოებამ ეს კლასი გააბატონა დღეს ცხოვრებაში.

ყოველივე ეს, როგორც სოციალიზმის წარმომადგენლები ამბობენ, სრულიად კანონიერი მოვლენაა. ამის წინააღმდეგ არაფერი შეუძლია ადამიანს; აქ მოქმედებს ბუნებრივათ აუცილებელი პროცესი, და არავის არ შეუძლია მისი არც შეწყვეტა და არც შეჩერება.

რედაქტორ-გამომცემელი კ. ფ. მგელაძე.

განცხადებანი:

„მათრახი და სალამური“, ყოველკვირეული, იუმორისტ. ჟურნალი.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მან., თვიურათ 50 კ., ცალკე ნომერი 10 კ.

ვინც ამ თვიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს, აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ **პრემიათ გაეგზავნება. ახალი ჯრ. მული.**

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Василію Карамановичу Болквадзе.

Тифлисъ, Электропечатня Т-ва „Печатное Дѣло“, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства № 141.